

708
1985/4

საქართველოს
საბავშვო



ქვეყნის მშენებელი

საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის
საზოგადოება

ГРУЗИНСКОЕ ОБЩЕСТВО ОХРАНЫ ПАМЯТНИКОВ ИСТОРИИ
И КУЛЬТУРЫ

GEORGIAN SOCIETY FOR PROTECTION OF HISTORICAL AND
CULTURAL MONUMENTS





წაღწეობის მაცხოვრის ხატის ტიპრული მონასქრის მედალიონები (საქ. ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის საგანძურში).

Медальоны с перегородчатой эмалью икона Спаса из Цаленджиха.
 (Сокровищница Гос. музея искусств Грузии).

ქველვის ქობინარი

კავალის საზოგადოებათა

საზოგადოებო კოლეგია: ირაკლი აბაშიძე, ვახტანგ ბერიძე, ირაკლი ზოლვაძე (პ/პ, ზღ-ეფა), ოთარ თავთაიშვილი, ირაკლი ჯაპარიშვილი, ოთარ ლორთქიფანიძე, ლევან მატარაძე, ოთარ სანაძე, თენგიზ ფარაძე, გიორგი ჩიბაია, ვახტანგ თინათიძე.

სერიის რედაქტორი — ირაკლი ციციშვილი
რედაქტორი — ლევან მატარაძე

Редактор серии Иракий Цицишвили
Редактор Леван Матарадзе



შ ი ნ ბ ა რ ს ი

| | |
|---|-------|
| ი რ ი ნ ე ქ ა ნ ო შ ა — ო რ ი ხ ა ტ ი ზ ე ლ ო ვ ნ ე ბ ს ი ს ხ ე ლ შ წ ი თ ო მ უ ზ ე უ შ ო ს კ ო ლ ე კ ტ ი ც ი ა დ ა ნ | 5 |
| ლ ა ლ ი ა ლ ა მ ა ს ი მ ა მ ს ი ნ ი შ ვ ი ლ ი, ი ზ ო ლ ა ზ ო ლ ა ზ ო ლ ა — მ ი ნ ი ა ტ ო რ ე ბ ო ს რ ე ს ტ ო რ ა ც ი ა ს ე რ - თ ი მ ე თ ო ლ ე ს შ ე ს ა ზ ე ბ | 15 |
| მ ლ ო ნ ი მ ა ნ ო ბ ა — რ ა კ მ ნ ი ს თ ბ ი ლ ი ს ი ს ა რ ქ ი ტ ე კ ტ ო რ ო ლ ი ს ა ხ ი ს ს ე ც ი ფ ა კ ა ს | 16 |
| ა ნ ზ ო რ ქ ა ლ დ ა ნ ი — უ ნ ი კ ა ლ ო რ ი ც ი ბ ე -ს ა ხ ლ ე ბ ი ს ო ფ. ფ ა რ შ ა მ ა შ ი | 22 |
| ლ ო ნ ა ზ ა მ ი შ ვ ი ლ ი — ს ო ფ. ტ ე ლ ო ს წ მ. გ ო ო რ გ ო ს ზ ა ლ ო ც ა ე | 27 |
| ზ ი თ გ ო რ დ ა ქ ა — ს ო ფ. შ ო ე ლ ო ს ღ ღ ო ს მ შ ო ბ ლ ო ს ე ლ ე ს ი ა | 30 |
| ნ ა ნ ა ლ ი თ ო რ დ ე ზ ა, ლ ა მ ა ნ თ ო რ შ ო რ ი ა — ფ ა დ ი ა ნ ე ბ ს ს ა ს ა ხ ლ ე ზ ე გ ა ვ რ ც ე ლ ე ბ ე ლ ი ბ ა - ტ ო რ ი ე რ ო ზ ო ა ს გ ა მ ო მ წ ვ ე ე მ ც ე ნ ა რ ე ბ ი | 39 |
| ჯ ა მ ა ლ ბ ა მ ო ბ ა მ — ს ა ქ ა რ თ ე ლ ო ს ა ნ ტ ო ე რ ი ზ ა ნ ი ს ქ ა ლ ა ქ ე ბ ს წ ა რ მ ო კ მ ნ ო ს წ ა ნ ა მ ლ ე უ ბ ი | 41 |
| ი მ ა ნ ე შ ა მ ი შ ო ა ლ ო შ ო ლ ი — ტ ო რ შ ო ს „ც ი ბ ის“ შ ე ს ა ზ ე ბ | 47 |
| რ ა ზ ო მ ხ მ ი ს ბ ა ნ ი — ე რ თ ი გ ე ო გ რ ა ფ ი ე ლ ი ს ა ხ ლ ე ლ ო დ ე ბ ს ლ ო კ ა ლ ი ზ ა ც ი ბ ა თ ე ს | 19 |
| მ ა ლ ა ზ ო რ დ ა ლ ი ა ნ — ს ა ნ ა თ ო რ ი წ ა რ მ ო ე ბ ო ს მ ა ნ ა ლ ა ს ო ფ. ზ ა რ ი ძ ე ე ბ ო დ ა ნ | 52 |
| მ ა მ ი თ მ ი ნ დ ო რ ა შ ვ ი ლ ი — მ ი ნ ო ს ნ ა წ ა რ ბ ო უ ლ ლ ო ს ც ი ბ ი დ ა ნ | 57 |
| ჯ ო რ ნ ი ა მ ა მ ო მ — გ ვ ი ა ნ ბ ი რ ი წ ო ა -ა დ რ ტ ო რ ი ს ი ს ხ ა ნ ო ს ა ხ ლ ი ძ ე ლ ე ბ ი ც ე ნ ტ რ ა ლ ო რ ა კ ო ლ ზ ე თ ო დ ა ნ | 69 |
| ლ ა რ ი ჯ ო მ ლ ა მ — ძ ე ლ ი კ ო ლ ზ ე რ ი მ ა ხ ლ ე ბ ი ე ნ გ ო რ ო ს მ ა რ ქ ე ე ნ ა ს ა ნ ა პ ო რ დ ა ნ კ ა ლ ბ ო რ ო ს ქ ა მ ბ ლ ო შ მ ც ე მ ლ ე ნ ი მ ა მ ო მ ა მ ა მ ო მ | 69 |
| ე ლ ო ც ა ე თ ი ბ ი ლ ო რ ს — პ ა რ მ ე ნ ზ ა ქ ა რ ა ლ ა შ ო წ ლ ო ს ა ა | 72 |
| ა ბ ო ტ ო ც ი ე ბ ი რ უ ს ლ დ ა ი ნ გ ლ ო ს ტ ო რ ე ნ ე ბ ზ ე | 71-79 |

СО Д Е Р Ж А Н И Е

| | |
|---|-------|
| И. Дзудова — Две иконы из фондов Гос. музея искусств Грузии | 5 |
| Л. Алекси-Месхишвили, Н. Джикидзе — Об одном методе реставрации миниатюр | 15 |
| Е. Манян — Что создает специфику архитектурного образа исторического Тбилиси | 16 |
| А. Кадანი — Уникальные жилые башни в сел. Парсма | 22 |
| Л. Хуцишвили — Святые св. Георгия в сел. Тени | 27 |
| Г. Гордадзе — Церковь богоматери из села Моедани | 30 |
| Л. Товурия, Н. Тодуа — Растения, произрастающие во дворце Дадияни, вызывающие биоэрозия | 39 |
| Дж. Гветадзе — Предпосылки городов Грузии античного периода | 41 |
| И. Шанишелашивили — О грузинском термине «Цიხე» | 47 |
| Р. Хвистани — К вопросу о локализации одного географического названия | 49 |
| М. Цоцелия — Археологический материал сасанидского происхождения из с. Заридзеоби | 52 |
| Д. Миндорашияли — Стекланные изделия из Уплисцихе | 57 |
| Дж. Авакидзе — Новый памятник эпохи поздней бронзы — раннего железа в центральной Колхиде | 60 |
| Л. Джикладзе — Древнеколхидские материалы с правобережья реки Энгури | 69 |
| Поздравляем юбиляра (П. П. Закарая — 70 лет) | 72 |
| Аннотации на русском и английском языках | 74-79 |

ორი ხატი ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის კოლექციიდან

18095

საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში ინახება ტილოზე შესრულებული ქართული საიკონოსტასო ხატების დიდი კოლექცია, რომლის შესწავლა და რესტავრაცია ამჟამად მომდინარეობს. ხატების რაოდენობა, მათი მხატვრულ-რეგიონალური მრავალფეროვნება მკვლევარის წინაშე ისეთ პრობლემებს აყენებს, რომელთა გადაჭრა ახალ შუქს მოჰფენდა ქართული მხატვრული კულტურის მთელ სადღეისოდ კომპლექსურად და სისტემატურად ჯერ კიდევ შეუსწავლელ ეპოქას — XVIII ს. მეორე ნახევრიდან XIX ს. დასასრულამდე. როგორც არ უნდა შეფასდეს ამ ეპოქის მხატვრული პროდუქცია, არ შეიძლება უარყოთ, რომ იგი ასახავს ქართველი ხალხის, სხვადასხვა სოციალური ფენის იმდროინდელ შემოქმედებით პოტენციალს. აქ არა აქვს ასრი მსჯელობას იმის შესახებ, დიდ თუ მცირე ხელოვნებასთან გვაქვს საქმე; მთელ ამ მხატვრულ პროდუქციას ერთნაირად დიდი მნიშვნელობა აქვს იმისათვის, რომ შევძლოთ მხატვრული კულტურის, ჩვენი ქვეყნის იმდროინდელი დონის ესთეტიკური გემოვნებისა და ზნე-ჩვეულებათა განვითარების უკეთ გაგება.

ხსენებული ეპოქის ხელოვნებისათვის ნიშანდობლივად შეიძლება ჩაითვალოს ორი ხატი ხელოვნების მუზეუმის კოლექციიდან. ერთერთი მათგანი, სახელდობრ, ბატონიშვილ ლეონის (მეფე ერეკლე II-ის ვაჟის) კუთვნილი ხატი, თავისი ისტორიულ-მხატვრული ღირსებებით უეჭველად საინტერესოა არა მარტო სპეციალისტებისათვის, არამედ ფართო საზოგადოებისთვისაც. ხატი (ინვ. № ქ. 544) ქართლის რომელიღაცა ეკლესიას ეკუთვნოდა. იგი სწორკუთხა მოკუთხილობისაა (31X39, ტ. ბ.) და ორმხრივია მოხატული, ე. ი. მოკლებულია მის ფუძეს, ხოლო მისი ორივე პირი გრუნტითაა დაფარული. ხატის ერთ პირზე გამოსახულია იესო ქრისტე, მეორე პირზე კი ჯვარცმის კომპოზიციაა მოცემული. ამ სახის (ე. ი. ორმხრივი) ხატი ერთადერთია ჩვენს კოლექციაში. ხატის ტილო გაბეულია ვერტიკალური და ჰორიზონტალური მიმართულებით, დაკარგულია ტილოს ფრაგმენტი, დაზიანებულია წნღბეაგის ფეხა. საღებავი ერთ მხარეს იმდენადაა დაშავებული, რომ შეუძლებელი იყო ჯვარცმის კომპოზიციის გარკვევა. მხოლოდ მუზეუმის ფოტოლაბორატორიამ რესტავრაციის მეთოდით ფოტოგადაღების შემდეგ (ხატი გადაიღო ფოტოლაბორატორიის გამგემ, საქ. კულტურის დამსახურებულმა მუშაებმა ი. ნ. გილგახლოფმა), შესაძლებელი გახადა სიუჟეტის განსაზღვრა და წარწერის წაკითხვა (ამჟამად ხატი რესტავრირებულია თ. ასიტაშვილის მიერ).

ხატის წინა მხარედ უნდა ჩაითვალოს ის პირი, რომელზედაც გამოსახულია იესო ქრისტე. გამოსახულება ჩვეულებრივი იკონოგრაფიული სქემის მიხედვითაა შესრულებული, ხატმწერისათვის დამახასიათებელი მანერით. იესო ქრისტე ღრუბლებზე მჯდომარედ, ტახტის გარეშეა გამოხატული; ორივე ხელი მას კუროხევის ნიშნად აქვს აღპყრობილი, მის თავს ჯვრისანი, სხივოსანი შარავანდი ადგას. იესოს სახე კეთილშობილი აქვს თვალები დიდი და მეტყველი, სამოსის მოდელირება ნაყეცებისა თავისუფალი ნახატითა და ფერით არის მი-


ქ. ქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბლ.
გიგლიოთმაძე



ლევან ბატონიშვილის ორმხრივი ხატის
 წინა პიტი.

Двусторонняя икона царевича
 Левана. Лицевая сторона.

ღწეული. წერას მანერა და ფაქტურა მკეროვია, კლორიტი — ღრმა და ნა-
 ჯერი. შიუხედავად ხატის მკირე ზომისა, გამოსახულება მონუმენტურობის
 შთაბეჭდილებას ახდენს. ხატის ავტორი პროფესიონალი ხატმწერია და უეკ-
 ველად საშეფო კარს უნდა ყოფილიყო დაახლოებული. ჩვენთვის ცნობილია
 ერეკლე II კარის ზოგადი მხატვრის სახელი ესენი არიან: ნიკოლოზ აფხა-
 ზი, ოვანათიანიანი, გეგელიძეები. აქ ისინი კითხვა, რომელ მათგანს შეეძლო
 ყოფილიყო ჩვენი ხატის ავტორი? ან რაღებ შეფის კარზე იყვნენ სხვა, ჩვენთ-
 ვის უცნობი, მხატვრები?



ლევან ბატონიშვილის ირმარჯვი ხატის
 პეირე მხარე.

Двусторонняя икона царевича
 Левана. Обратная сторона.

მაცხოვრის გამოსახულებასთან ერთად და ერთდროულად — ხატის მეორე მხარეს გამოსახულ იქნა ჯვარცმა. ამ შემთხვევაშიაც დაცულია კომპოზიციის იკონოგრაფიული სქემა. მხედველობაში გვაქვს იკონოგრაფიული თვისებურებანი, რომელიც XVIII ს-დან იწყებს ჩამოყალიბებას და სადღეისოდ ერთგვარად შეუსწავლელიც არის. მაყურებლისაგან მარცხნივ დგას მათორიუმით შემოსილი მწუხარე ღვთისმშობელი, მარჯვნივ ეხედვათ იოანე ღვთისმეტყველს. სეორე პლანზე ტროსს ქვედა ნაწილში მოცემულია ქალაქის (იერუსალიმის) პირობითი და სქემატური გამოსახულება.



კომპოზიციის ზედა ნაწილში შენარჩუნებულია ქართული მხატვრობის წარწერის ფრაგმენტები, რენტგენოგრაფიის მეთოდით ფოტოგადაღების მეშვეობით შევსებული მხოლოდ ცალკეული სიტყვების წაკითხვა. ტილოსა და საღებავის ფერის დაზიანების გამო შეუძლებელია წარწერის მთლიანად აღდგენა.

მეორე ქართული მხედრული წარწერა მოთავსებულია მარცხნივ, ჰორიზონტალურად, ღვთისმშობლისა და იოანეს ფიგურების ზევით. იგი შეიცავს ვერძებას იმის შესახებ, რომ ღმერთმა შემწეობა გაუწიოს ქართველთა ლაშქარს აგაროახთა (მაჰმადიანთა) წინააღმდეგ ბრძოლაში. წარწერის შინაარსი გასაგები გახდება, თუკი გავიხსენებთ, რომ ხატის დამკვეთი იყო ბატონიშვილი ლევანი, რომელიც სარდლობდა მორიგე სამეფო ლაშქარს, შექმნილს 1773 წელს, დარბაზის გადაწყვეტილებით და ერეკლე II ხელმძღვანელობით, როგორც ცნობილია, მორიგე ლაშქარმა ქართლ-კახეთში მოთარეშე ლეკებთან ბრძოლაში დიდი როლი შეასრულა. ამ ლაშქრის არსებობა ბატონიშვილ ლევანის სიკვდილისა და ფეოდალთა შორის შუღლის გამო შემდგომ შეწყდა.

წარწერა* მოგვყავს მაქსიმალური სისრულით:

აეხოვენე უფალო ერი შენი და აყურთხე სამკვიდრებელი შენი.
ძლევთა ჭურთა აგარ /იანთა/,
ზედა მოანიჭე და სპანი მისნი საფარულსა ქვეშე შენი
/დაი/ ცვე რათა ხსნილნი შენ მიერ შენდა შესწირვიდენ მადლობა
სა მარადის ამქინ.

კანონიკური ტექსტი:

აეხოვენე, უფალო, ერი შენი და
აყურთხე სამკვიდრებელი შენი: ძლევთა
ჯვართა ბარბაროზთა ზედა
ღვთის დაცულსა ერსა ჩვენსა
მოანიჭე და ძეუფება მისი
საფარველსა ქვეშე ჯვარისა
შეხისასა დაიცევ, რათა
ვიტყოდეთ: უფალო დიდება შენდა!

ლევან ბატონიშვილისეული ხატის მხატვრობაში დეკორაციული საწყისია მოჭარბებული. აღსანიშნავია, რომ ამ ელერადობას აძლიერებს ლამაზად შესრულებული მხედრული წარწერა, რომელშიც ზოგიერთი ხეცური ასოცაა ჩაბნეული. წარწერები შესრულებულია მთელი კომპოზიციის გათვალისწინებით, ტილოს ზემო და ქვემოთა ნაწილებში, იესო ქრისტეს ცადაპყრობილი ხელების ქვემოთა და ჯვრის ზემოთ.

* ორივე ხატის წარწერის ამოკითხვაში დახმარება გამიწიეს საქ. ხელოვნების მუზეუმის უფროსმა მეცნიერ თანამშრომელმა ე. კველელაშვილმა და ხელოვნებისმცოდნეობის კანდიდატმა გ. აბრამიშვილმა, რისთვისაც მათ გულწრფელ მადლობას ვუცხადებ.



იესო ქრისტეს გამოსახულების ქვემოთ შესრულებული წარწერა ადასტურებს ხატის დამკვეთის — ბატონიშვილ ლევანის, ერეკლე II-მის პირდაპირ ბას, წარწერის ბოლოს შემორჩენილია ხატის შექმნის თარიღის მხოლოდ პირველი ორი ასო იდ(-14)-კსუ... ე. ი. 17...), ხოლო თარიღის ორი უკანასკნელი ასო დაკარგულია ტილოსა და საღებავის შრესთან ერთად, რაც შეეხება წარწერას, იგი, ჩვენი ვარაუდით, უნდა წარმოადგენდეს იესო ქრისტესადმი მიძღვნილ არაკანონიკურ ფსალმუნს, შეთხზულს ან ხატის დამკვეთის მიერ (რაც სავსებით შესაძლებელია, რადგან ბატონიშვილი ლევანი დაჯილდოვებული იყო პოეტური ნიჭით), ან ხატის შემსრულებლის მიერ: ტექსტი მოგვეყავს მთლიანად:

შენ ხარ ქრისტე ღმერთი ჩემი შენ ხარ ძ(ლის)პ(ირ)ი ჩემი
 ცხოვრებისა ჩემისა რომელმან არადა
 ნდი სიმდაბლესა ჩემსა ამისთვისაცა.
 შენ ხარ უფალი ჩემი და სიქადული
 ჩვენი წიაღნი მამისანი და გამოუჩ [ნდი]
 [წი] ნასწარმეტყუეშლსა ამბაკომისა
 თანა ეტყოდეთ ძალსა შენსა დიდება

კაცთამოყუარეთ

ნუ შეურაცხ[ნენ] — შენთვის კ... დაწუნებულსა აღშემწე
 ყავნ მარჯუშნენ შენი ძლიერი და მაღალი შობილი ქალწულისაგან
 ...ენ ჩვენ მონებისაგან მტერთა ჩნთას აგარას ნათესავ
 ძღე...ს მადლე მრნა წველო უფლის... წული... მეფის ირაკლის
 ძეს ლეონს იელისს იდ ქქს უ...

როგორც ცნობილია, ბატონიშვილი ლევანი (1752-1782) იყო ერეკლე II მეფობის პერიოდის ერთ-ერთი თვალსაჩინო პიროვნება. იგი სათავეში ედგა მორიგე ლაშქარს და მისი მოულოდნელი, უდროო სიკვდილი დიდი გულსტკივილით განიცადეს საქართველოში. გრიგოლ ორბელიანმა გამოხატა ლევან ბატონიშვილის უდროო სიკვდილით გამოწვეული საერთო წუხილი:

მეფისა დროშით სად მიხვალ
 პა, ლევან, სულით ნათელო!
 შენ მხოლოდ მამის იმედო,
 უდროდ მზე დაბნელებულო.
 შეირყა ტახტი მეფისა...
 რა საფლავს შთახვედ, ლომგულო...²

ლევანის ხსოვნას დიდხანს წმინდად ინახავდნენ, ქვათახევის მონასტრის ერთ-ერთ ხელნაწერში, რომელიც მიეკუთვნება 1863 წელს და რომელიც დაწერილია ბერ ნიკოლოზ ჯობინაშვილის მიერ, იმ ლექსებს შორის, რომლებიც ეძღვნება ქართველ მეფეებს, არის ლევანისადმი მიძღვნილი სტრიქონები.

ლევან ბატონიშვილისეული ხატი შესრულებულ იქნა მის სიცოცხლეში, ე. ი. 1782 წლამდე, უფრო ზუსტად კი უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი შესრუ-



ლდა 1774 წლიდან (ლევანის პეტერბურგიდან დაბრუნების და მორიგე
რის შექმნის წელი) 1782 წ. დროის მონაკვეთში.

არაჩალებ ინტერესს იწვევს ჩვენი კოლექციის მეორე ხატი — ხატი იოანე ნათლისმცემლისა, დათარიღებული 1805 წლით. (იხე. № 39, ურბნისი, 56 X72, ტ. ბ). იოანე ნათლისმცემლის წელზევითა გამოსახულება მოცემულია ღია ცისფერ ფონზე, მისი სამოსი ყავისფერია, ხოლო შიშველი — მწვანე ფერისა. ინტენსიური სიმწვანის ტონების — ზალახისფერისა და მოყავისფრო-მწვანის გამოყენებით დაწერილი შარავანდი, რომლის ფერიც თითქმის ემთხვევა ხატის საერთო ფონს, შემოფარგლულია წერილი შავი ხაზით და მისგან ყუთიელი ფერის სხივები გამოედინება.

ნათლისმცემლის მხერა მარჯვნივ, თითქოს მაყურებლის მიღმა მიმართული წარბები მაღლა აზიდული აქვს. შუბლზე ნათლად ჩანს რამდენიმე ნაოჭი და ვეღალფერი ეს სახეს ანიჭებს ტანჯვისა და წუბილის გამოძეტველებას. პირი მოხატულია წერილი შავი ხაზით, ხოლო ბაგეთა მომრგვალებული ფორმა წითელი საღებავითაა მონიშნული. წვერი, თმა, უღვაშები და წამწამები ფაქიზადაა დამტუვებული წერილი ხაზებით.

იოანე ნათლისმცემელს მარცხენა ხელში ევქარისტის ბარძივი უპყრია, რომელშიც ყრმა იესო ქრისტეა გამოსახული. მარცხენა ხელი აპყრობილი აქვს ზემოთ და ბარძივზე მიუთითებს, ხელის მოძრაობა მღიერ სტილიზებული და რამდენადმე უჩვეულოა.

მიწის მანიშნებელი მონაცრისფრო-ცისფერია. ხატის სიმაღლეს საკმაოდ დიდი ნაწილი უპყრავს და საყუთრივ ფონისაგან გამოიწველია მტკი ყავისფერი, ფართო ხაზით (რაც ამ შემთხვევაში უფრო წააგავს ხატწერის ფორმალურ ნიშანს). მთელი გამოსახულება შემოფარგლულია ფართო შავი ხაზით, ე. ი. იგი თითქოს ჩარჩოშია ჩასმული.

მაყურებლისაგან მარჯვნივ, იოანე ნათლისმცემლის სახის დონეზე ვხედავთ ქართულ მხედრულ წარწერას, შესრულებულს წითელი საღებავით. ხატის ცისფერ ფონზე წარწერის შინაარსი მოგვყავს სრულად:

წმიდ/ათ იოანე ნათლის მცემელო
შე/ემწე იყავ მეფის ძეს იოანეს საქაშეთის
ეკლესიისათვის შემომიწირავს ჩყე (1805).

წარწერაში მოხსენებული ბატონიშვილი იოანე (1768-1830) იყო უკანას-
ნელი ქართველი მეფის — გიორგი XII ძე და ერეკლე II ერთ-ერთი საყვა-
რელი შვილიშვილი .ის იღვა ჭაბახანის (ძველი იარალის საწყობი, არსენალი)
სათავეში. ჰქონდა ფელდციხისმცირის (პრტილერისი) უფროსი) წოდება და
წმ. ანას I კლასის ორდენი. ნიახურის ბრძოლაში ავართა ხანის წინააღმდეგ
ბატონიშვილი იოანე სათავეში ჩაუდგა ქართველთა ცხენოსან ჯარს, რისთვისაც
დაჯილდოვდა წმ. იოანე იერუსალიმელის მალტის ორდენით. 1801 წელს
იოანე მშებთან ერთად გამოძახებულ იქნა პეტერბურგში, სადაც იძულებული
აღმოჩნდა კიდევ დარჩენილიყო სიცოცხლის ბოლომდე. პეტერბურგის ქარ-
თულ კოლონიაში იგი სარგებლობდა დიდი ავტორიტეტით. მის სახლში ხში-
რად იყრიბებოდნენ ქართული და რუსული ინტელიგენციის წარმომადგენლე-
ბი, იოანე წერდა ლექსებს, მან რუსულიდან ქართულად თარგმნა ვოლტერის



ხატო იოანე ნათლისმკვლელისა.

Икона Иоанна Крестителя.

ლექსები. შეადგინა ერცელი ქართულ-რუსული ლექსიკონი და აგრეთვე საფლმძღვანელოები მათემატიკისა და ბუნებისმეტყველებაში.

იოანე მხატვრადცაა ცნობილი. იგი მშვენიერად ერკვეოდა ხელოვნების ენულა სფეროში. მისი ინიციატივით და მონაწილეობით 1804 წელს ითარგმნა

«Основательные правила или краткое руководство к рисовательному художеству, часть первая, изданная от Давида Преислера, управителя Нюрнбергской Академии живописного художества».

ამ სახელწოდებულს იოანემ დაურთო ფრესკისათვის კედლის მომზადების წესი: როგორც ჩანს, მას ჰქონდა გამოცდილება ამ სფეროში (?) გერმანულ-რუსული ტექსტი ქართული თარგმანითურთ (ხელნაწერი) სათაურით „ხატვის ანბანი“ აკიხულ იქნა თვით მის მიერ ტყავის ყდაში. ბატონიშვილი იოანე იყო ალეგორიული სურათის „საქართველოს“ ავტორი და ეს სურათი შინაგან საქმეთა მინისტრის ო. კოზოდავაძევის შეამდგომლობით მან მიართვა იმპერატორ ალექსანდრე I. ამ სურათის ესკიზი შემდგომ აღმოჩენილ იქნა მღვდელ

ალექსი-მესხიშვილის ბინაში საქართველოში 1832 წლის შეთქმულების წილეთა ჩხრეკის დროს, უნდა აღინიშნოს, რომ თვით მესხიშვილი პეტერბურგში ყოფნისას ფერწერას სწავლობდა ბატონიშვილ იოანესთან. ეს უკანასკნელი, ნახატებს ურთავდა, როგორც თავის, ასევე სხვის ხელნაწერებს და შემდეგნაირად აწერდა ხელს: მეფის ძემ იოანე დავხატე".⁴

იოანე ბატონიშვილი იყო თავისი დროისათვის განათლებული პიროვნება. იგი თვლიდა, რომ სამშობლოს სკირდება განათლებული ადამიანები. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ იოანე ნათლისმცემლის ხატის ავტორი და შემწირველი ერთი და იგივე პიროვნება — თვით იოანე ბატონიშვილი იყო. მას ეძღვნა არც თუ მცირე რაოდენობის ხალხური ლექსები და სიმღერები, ხოლო ქვათახევის მონასტრის 1863 წელს ბერ ნიკოლოზ ჭობინაშვილის მიერ გადახახული ხელნაწერი შეიცავს იოანე ბატონიშვილისადმი მიძღვნილ სტრიქონებს.⁵

კან შეიძლება ყოფილიყო ბატონიშვილ იოანეს ხატის ავტორი? ბუნებრივია, ვივარაუდოთ, რომ მათი ავტორები იყვნენ მეფის კარზე მომუშავე მხატვრები. იმ კარის მხატვართა მცირე წრიდან, რომელთა სახელები შემოგვინახა ისტორიამ, ჩვენ გვსურს აღვნიშნოთ გეგელიცეთა მხატვრული დინასტიის უფროსი წარმომადგენლები, ძმები ქრისტესია და დავით გეგელიძეები, ამისთვის ჩვენ გვაქვს შემდეგი საფუძველი, საქართველოს ცსა-ს ფონდებში რამდენიმე წლის წინათ აღმოჩენილ იქნა საბუთები, რომლებიც ეხებოდა გეგელიძეების შემოქმედებით ბიოგრაფიას, კერძოდ, საქართველოს უზენაესი მთავრობის ეურნალში მოთავსებულია 1804 წელს იმპერატორ ალექსანდრესადმი მიმართული თხოვნა ძმები გეგელიძეების გადასახადებისაგან განთავისუფლებაზე. შესახებ, იმ სიგელის საფუძველზე, რომელიც მათ უბოძეს ერეკლე II და დედოფალმა დარეჯანმა. ძმები გეგელიძეები მოუთხოვედნ რომ ისინი, მცირეწლოვანი ობლები, აღიზარდნენ მეფის კარზე, მეფემ მიიპარა ისინი შევირდებლად მხატვარს და მანვე უბოძა მათ სიგელი. სხვათა შორის ძმები გეგელიძეები იმოწმებენ თავად მანუჩარ თუმანოვის ხელნაწერ საბუთსაც,⁶ რათა უფრო გასაგები გახდეს ჩვენი ვარაუდი იოანე ნათლისმცემლის ხატის დამხატავის ვინაობის შესახებ, მოგვყავს ტექსტის ნაწევები:

«Я так знаю, что сын Крестесия и Давид были сироты малолетние, покойница царица Аннаханум Крестесию препоручила, живописцу Ионатану и дала им порцию и платье и воспитала их для царевича Левана и после смерти Левана Крестесию вывела от Ионатана и определила жалование и порцию и он, Крестесия, учил своего брата живописи и обоих братьев царица Аннаханум дала царице Дарии получали всегда порцию и жалование и они царю никакой подати не платили и имели на освобождение грамоту. Князь Мануچار Туманов».

ციტირებულ ტექსტზე დაყრდნობით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ერთ-ერთი — ან ორივე ძმა გეგელიძე, იყვნენ რა სამეფო კარის მხატვრები, აგრეთვე იყვნენ ჩვენი ორი ხატის ავტორებიც?

იოანე ნათლისმცემლის ხატთან დაკავშირებით, რომლის შემკვეთი იყო ბატონიშვილი იოანე, ისმის იოანე ნათლისმცემლის კიდევ ერთი ხატის (საქ. ხელოვნების მუზეუმი, ინვ. № 140, რუისი, 43, X 91, ტ. ხ.) ატრიბუციის საკითხი (ხატი რესტავირებულია საქ. ხელოვნების მუზეუმის ფერწერის რეს-



იოანე ბატონიშვილის შემოწირული ხატი
ნათლისმცემლისა.

Икона царевича Иоане.

ტარაციის განყოფილების მეცნიერ-მუშაკის ა. წიკლაურის მიერ). ორივე ხატის კოლორიტს, მანერასა და წერის ტექნიკას ბევრი რამ აქვს საერთო. პირველ რიგში ეს უნდა ითქვას ორივე კომპოზიციის ერთნაირ ფონზე, ყავისფერ ძაბაზე და მწვანე ჰიმატიუმზე. გამოსახულება აქაც მოთავსებულია შავად მონახულ ოვალში. ასევე ფაქიზი შტრიხებით გახაზული წვერი, უღვაშები, ძაძას ბეწვი. იოანე ნათლისმცემელი მთელი ტანითაა გამოსახული, ხელში მას ბარძიშის გარდა გრაგნილიც უპყრია. მის მარცხნივ ეხედავთ ხეს ცულით. ფიგურა ოდნავ შეტრიალებულია, თითქმის ფრონტალური, მაგრამ სახის გამომეტყველება ორივე ხატზე ერთნაირია. ზუსტად ასევე მალაა აზიდული წარბები, ასეთივეა წმინდანის მზერა მოპყრობილი მყუერებლისაყენ და ამავე დროს მის მიღმა. წვერ-უღვაშიც ერთნაირია, ხოლო ხელი, რომელშიც მას უპყრია ბარძიში, ქმხის გაშეშებულობის ასეთივე შთაბეჭდილებას, მეორე ხელის მანვენებელი თითი კი ასევე არაბუნებრივად გრძელია და მოხრილი. მსგავსების ყველა ეს ნიშანი გვაფიქრებინებს, რომ ორივე ხატის ავტორი იყო ერთი და იგივე ოსტატი, და რომ ორივე ხატი შესრულებულია დროის ერთსა და იმავე მონაკვეთში. რუსის ხატში იგრძნობა სქემის მეტი კანონიერობა და იკონო-



გრაფიულობა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, შეიძლება ითქვას, რომ ავტორი ძირისწრაფის დამოუკიდებლობისაყენ, თვით გამოსახვის ტრადიციულობის, ზრუნული კლდე შეფენობელ გადალახვისაყენ. სწორედ ამით იპყრობს ჩვენს ყურადღებას ბატონიშვილ იოანეს შეკვეთით შესრულებული ხატი. ამ ხატში მეტია მხატვრული სახის ბუნებრიობა და „პორტრეტულობა“, მასზე გამოსახული პერსონაჟი უფრო იწვევს თანაგრძობას. ხეხეხული ხატების მხატვრულ-სტილისტურ თავისებურებების გათვალისწინებით, მათი სრული ატრიბუციის შესაძლებლობა გვეუწყება, კერძოდ, რომ აღნიშნული ხატები ჩვენ მიერ ნაყარადღებ ავტორებს ეკუთვნის და XVIII საუკუნის ქართული ფერწერის უაღრესად მნიშვნელოვან ძეგლებს წარმოადგენენ. აღნიშნული პერიოდი, მხატვრულ-სტილისტური თვალსაზრისით სადღეისოდ სრულყოფილად შესწავლილი არ არის. მომავლის საქმეა დასავლეთ ევროპული ნაკადის მეცნიერული შეფასების საკითხიც, რომელიც თავის მხრივ რუსეთთან ურთიერთობის შექმნე უნდა იქნას ლოკალიზებული. სახელდობრ, ბატონიშვილ ლევანის ხატი, შესრულებულია უფრო პროფესიულად, მეორე — ბატონიშვილ იოანეს ეკუთვნილი ხატი არ ყარგავს თავის მომხიბვლელობას, შესრულების ნაკლები პროფესიულობის გამო. ამ უკახასენელში შეიმჩნევა ქართული ხალხური მხატვრობის ნიშნები. დღეს მწელი ასახსნელია, თუ რატომ დახატა ბატონიშვილი ლევანის ხატის ავტორმა იგი ორივე მხრიდან, რისთვის იყო განკუთვნილი — იკონოსტასისთვის თუ საწოლისათვის, რომელზეც დგამდნენ ამგვარ ორმხრივ ხატებს რომელიმე წმინდანის ხსენების დღეს. როგორც ცნობილია, რუსეთში ამგვარი ორმხრივი ხატები შესრულებული ხის ფიკარზე, გავრცელებული იყო ჟერ კლდე წინამონკოლურ პერიოდში. როგორც ვ. ნ. ლაზარევი თვლის, ხატები მზადდებოდა ბიზანტიური ნიმუშების მიხედვით.⁸

შეიძლება ვიყარადღოთ, რომ ჩვენი კოლექციის ეს ხატი საგანგებო გრძელი ტარის მქონე ქვეჩარჩოზე გადაჭიმული საეკლესიო დროშად გამოქონდათ სოლმე საეკლესიო დღესასწაულების დროს. ან კლდე შესაძლებელია, ეს ხატი (ორმხრივი) საეკლესიო დროშის საგულეს წარმოადგენდა, რომელიც ინახებოდა ეკლესიებში, ხოლო ლაშქრობისას ჟარს წინ უძლოდა ხოლმე, დროთა განმავლობაში იგი ხატად ქცეულა და ასე მოუღწევა ჩვენამდე.

1. იმ. დეკ. კ. ცანკაძე, ლოკანი, გამოცემა მეექვსე, თფ., 1914, გვ. 12-13.
2. გ. ქიქოძე, ვრცელე მეორე, თბ., 1942.
3. ლ. ქუთათელაძე, იოანე ბატონიშვილი მხატვარი. ეფრნალი „საბჭოთა ხელოვნება“, 1960, № 12, გვ. 59.
4. ს.ქ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ხელნაწერი 0-370; (იოანეს ძმის ბატონიშვილის სახატებზე); აგრეთვე სალტიკოვ-შედრინის სახ. ბიბლიოთეკა, ქართულ ხელნაწერთა ფონდი, იოანე ბატონიშვილის კოლექცია, №№ 152, 270.
5. ს.ქ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ხელნაწერი — 2170, ფ.ფ. 220-223.
6. ს.ქ. ცხა. ფ. 112, ა. 1, ს. 7349.
7. ს.ქ. ცხა. ფ. 112, ა. 1, ს. 7349.
8. იმ. В. Н. Лазарев. Русская средневековая живопись, М., 1970.

მინიატურების რესტავრაციის ერთი მეთოდის შესახებ

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში დაცულია მნიშვნელოვანი ნაწილი მოხატული ხელნაწერებისა, რომელთა უმრავლესობა XI-XII საუკუნეებით თარიღდება. ამ ხელნაწერების რესტავრაცია ერთ-ერთი ძირითადი საკითხია ხელნაწერების მოვლა-დაცვის საქმეში.

დროთა განმავლობაში შელანი, ოქრო, საღებავების ფენა სხვადასხვა ფაქტორების ზემოქმედების შედეგად განიცდის ცვლილებებს, რაც უკვე დიდი ხანია იპყრობს ამ დარგში მომუშავე სპეციალისტების ყურადღებას. მაგრამ მიუხედავად ამისა დღემდე ჯერ კიდევ არ შემუშავებულა ერთიანი მეთოდი დაზიანებული მოხატული ხელნაწერების აღდგენისა. არსებობს მხოლოდ ცდები ამ მიმართულებით. იტალიელი ა. სტრინი, ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, რომელმაც ხელი მოკიდა მინიატურების რესტავრაციას.

მინიატურების გამაგრების სხვადასხვა მეთოდებს მიმართავენ გ. მარკონი, ვ. თამი, ე. პორშე, ე. ფილატოვი, დ. მარელი, ი. ნოვიდი, ა. ივანოვა, ი. მოკრეცოვა და სხვები, მაგრამ ყველა ზემოდასახელებული ავტორი მინიატურების გასამაგრებლად იყენებს მალალ მოლეკულურ შენაერთებს, რომელთა გამოყენება ქართული მინიატურების სპეციფიკიდან (მელნის შემადგენლობა, საღებავების ფენა, შემავაჭვირებლები) გამომდინარე სრულიად მიუღებელია. ვენის ნაციონალური ბიბლიოთეკის პროფესორმა ოტო ვებტერმა შეიმუშავა მინიატურების გამაგრების სრულიად ახალი მეთოდიცა, რომელიც დღემდე არსებულ მეთოდებისაგან განსხვავებით ხასიათდება თავისი უვნებლობით. ვებტერის მიხედვით ეტრატის დარბილება, გასწორება და მინიატურების საღებავების ფენის გამაგრება წარმოებს ერთდროულად და ქიმიური რეაგენტების გამოყენების გარეშე.

ამ მეთოდის არსი მდგომარეობს წყლის ორთქლის მეშვეობით საღებავის ფენის და შემავაჭვირებლის გააქტივებაში, რის შედეგადაც ატყეილი საღებავი ხელმეორედ მაგრდება და ეკრება ეტრატზე. წყლის ორთქლის ზედაპირზე ფილტრის ქალაღზე თავსდება მინიატურებიანი ფურცელი. 15 წუთიდან 1, 2 საათამდე, დაყოვნების დრო დამოკიდებულია როგორც ეტრატის სისქეზე, ასევე მინიატურის დაზიანების ხარისხზე. ამის შემდეგ საჭიროებისამიხედვით ფურცელი იქიმება სპეციალური სამაგრების მეშვეობით (და დაიტოვება 24 საათით). შემდგომ ლუბის ან მიკროსკოპის საშუალებით მინიატურა ისინჯება ვიხეაღურად და თუ საღებავის რაიმე ნაწილი დარჩა ატყეილი, იგი მაგრდება წვრილი ფუნჯით სპეციალურად დამზადებული ეტრატის ან თევზის წებოთი. ერთი შეხედვით ზემოაღნიშნული მეთოდი ძალზე მარტივია, მაგრამ მისი გამოყენება და დანერგვა მოითხოვს როგორც მის ზედმიწევნით ათვისებას, ასევე ამ საკითხთან დაკავშირებით მთელ რიგ პრობლემების გადაჭრას. რაც აუცილებლად მიგვაჩინია მოხატული ხელნაწერების აღსადგენად და შესანარჩუნებლად.

რეკონსტრუქციის არქიტექტურული ხასის სპეციფიკაცია

ყველას, ვისაც თბილისი უნახავს და სხვა ქალაქებისათვის შეუდარებია, შეუვარძნია მისი მკვეთრად თავისებური ხასიათი. რა ქმნის ამ თავისებურებას?

ამის გასარკვევად ჩვენ დავაკვირდით (თვალთ და გრაფიკული ანალიზით) თბილისსა და სხვა ქალაქებს — ისლამურ (მუსლიმურს), რუსულს და დასავლეთ ევროპულს და დავინახეთ, რომ მათ შორის არქიტექტურული განსხვავების საფუძველი, რომელიც ამ ქალაქების ეროვნულ სახეს და არქიტექტურულ კონტექსტს ქმნის, ყოფილა თურმე სივრცითი ორგანიზაციის ერთი თავისებურება, რომელიც ერთნაირად ახასიათებს თვით ქალაქს და მის ცალკეულ ელემენტებს. უფრო ზუსტად, ეს არის ცალკეული შენობების, ეზოების, ქუჩების, მოედნების, არქიტექტურული კომპლექსების და მთელი ქალაქის, ასე ვთქვათ, „გახსნილობის“ და „დახურულობის“ გარკვეული ზომა.

გახსნილობასა და დახურულობაში ეგულისხმობთ არა წმინდად ფიზიკურ მომენტს, არამედ უფრო აღქმის სპეციფიკას, აღქმის ხასიათს, ინტუიტურ აღქმას, რომელსაც წმინდად ფიზიკურ მომენტთან ერთად განსაზღვრავს მიმართებები თვით ურბანული სტრუქტურის შემადგენელ ელემენტებს შორის და ამ ელემენტების მიმართება არქიტექტურულ თუ ბუნებრივ გარემოსთან.

მაგალითად, შეიძლება ვილაპარაკოთ ოთახის გახსნილობაზე, რომელიც ფიზიკურად დახურული სივრცეა და პირიქით, აივნის დახურულობაზე, რომელიც ფიზიკურად ღია სივრცეა.


გახსნილობა და დახურულობა ქალაქის შინაგანი ლოგიკის ერთ-ერთ არსებით ელემენტად, შიდა სივრცის ორგანიზაციის „ერთეულად“ გვესახება, რომლის მსგავსება-განსხვავება და ნიუანსირება ქმნის არქიტექტურული მთელის ამა თუ იმ ხასიათობრივ ტიპს.

ისტორიული თბილისის გეგმარებითი სტრუქტურა პრინციპულად განსხვავდება როგორც ისლამური (მუსლიმური), ასევე დასავლეთ ევროპული და რუსული ქალაქის სტრუქტურისაგან.

მუსლიმური ქალაქის მთელი ურბანული სტრუქტურა, მისი ანსამბლები და მათში შემავალი ცალკეული ელემენტების გეგმარება დახურული ხასიათისაა და სპეციფიკურ სივრცით აღქმას ქმნის — სივრცე ბატონობს არქიტექტურულ მასაზე.* დასავლეთ ევროპული ნებისმიერი ქალაქის გეგმა თავისი ელემენტებით აგრეთვე დახურულობის ლოგიკას მისდევს, მაგრამ თავისებურს აღმოსავლეთისაგან განსხვავებულს და სპეციფიკურად მისთვის დამახასიათებელ სივრცით აღქმას ქმნის — არქიტექტურა ბატონობს სივრცეზე.* თბილისის ურბანული ქსელი ორივესაგან განსხვავებულია, როგორც გეგმარების, ისე შიდა სივრცის ორგანიზაციის მხრივ. რაც სივრცითი აღქმის აგრეთვე განსხვავებულ სურათს ქმნის (იხ. ქვემოთ) თბილისის გეგმარებითი სტრუქტურა ძირითად ტენდენციაში გახსნილობის ლოგიკას მისდევს, მაგრამ ეს გახსნილობა არ არის სრული, დახურულობის გარკვეულ ელემენტს შეიცავს, ეს მომენტი აძლევს სპეციფიკურ ხასიათს, უქმნის კდემამოსილების გარკვეულ

1961

18095



სახლი აბას-აბადის მოედანზე.

Дом на Абасабадской площади.

საცხოვრებელი სახლის
ეზო დავითაშვილის ქუჩაზე.

Двор жилого дома на
ул. Давиташвили.



შტრიხს. დახურულობის გარკვეული მომენტი გახსნილობაში განასხვავებს თბილისის ურბანულ სტრუქტურას რუსული ურბანული სტრუქტურისაგან, რომელიც სრულიად გახსნილია.* თბილისური სტრუქტურის და მისი ელემენტების ნახსენები სპეციფიკა რამდენიმე მომენტით იქმნება: 1. მთელ ქალაქს და მის ცალკეულ უბნებს, ცალკეულ შენობებს ეზოებით აკრავს გალავანი, მაგრამ თვით გალავნის ხასიათი ისეთია, რომ გახსნილობის შთაბეჭდილებას ქმნის.

ქალაქის საერთო გალავნის და შიდა გალავნების არსებობის მიუხედავად გახსნილი და თავისუფალია მთელი ქალაქის და მასში შემავალი ცალკეული კომპლექსის გეგმარება, რაც უეჭველად ქართული საცხოვრებელი სახლის

ქ.კ. სსრ კ. მარქსის
სახ. საბ. რესპუბ.
გოგლიოთეკა



მშენებლობის, გეგმარების ღრმა ტრადიციებთან არის დაკავშირებული** და ქართული გალავნის და მისი შენობებთან მიმართების ხასიათით განსაზღვრული რება.

მთელ ქალაქს აკრავს გალავანი. ქალაქის ძირითადი უბნები სეიდაბადო, კალა ისანი ასევე გალავანშემოვლებულია. გალავანშემორტყმულია მეტეხის ტაძარი, სიონი, ანჩისხატი, ეკლესიები — ვანჭი, ჭაშვეთი, კალოუბანი, ციხე-დარბაზები. გალავნით არის შემოზღუდული ქალაქის ცალკეული პატარა უბნებიც, გალავნითვეა გამოყოფილი ქუჩისაგან საცხოვრებელი სახლები — მაგრამ ყველა ამ ცალკეული გალავნების ხასიათი და შიგნით მდებარე შენობებთან მათი მიმართება არის განსნილი, თავისუფალი.

გალავანი თავისთავად დახურულობის ელემენტია, მაგრამ თბილისის გალავნის (და საერთოდ ქართული გალავნის) დაბალი პროპორცია, მისი რელიეფურობა, გამომდინარე ბუნებრივი რელიეფიდან, რომელსაც ის მიყვება დატანებული კარების ან კიშკრების ხასიათი და პროპორციულად დიდი რაოდენობა საერთო სიგრძესთან შედარებით და თვით გალავნის არქიტექტურის ხასიათი (შემსუბუქებული კვილანების არშით და სხვა) თავისთავად მის განსნილობას ქმნის.

ასეთია ქალაქის საერთო გალავანი, რომელიც მიყვება თბილისის უსწორ-მასწორო რელიეფს და ქალაქის კონტურს აკრავს გალავნის შიგნით, ქალაქის ტერიტორიაზე, რთული რელიეფის სხვადასხვა დონეზე შეფენილი სახლების ჩვეულები და ცალკეული კომპლექსები თავიანთი დაბალი გალავნებით, რომლებიც თავისთავად ცოცხალ კომპოზიციებს ქმნიან ამოზრდილია გალავნის კონტურიდან, რის გამოც მკვეთრად და მთლიანობაში ალიქმებიან და გა-



ქარეახლის ეზო ერეკლე II ქუჩაზე.

Двор караван-сарая на ул. Ираклия II.



ზუბალაშვილის კარავასლა (ნახატი შესრულებულია ერმაკოვის ფოტოს მიხედვით)

Караван-сарай Зубалашвили
 (по фото Ермакова).



მეიდან. (ნახატი შესრულებულია ერმაკოვის ფოტოს მიხედვით).

Мейдан (по фото Ермакова).

ლავანს ფონად აქცევენ. ამ ცალკეული გალავნების არსებობას მთელ ამ გახსნილობაში მაინც შეაქვს დახურულობის არამკვეთრი ელემენტი.

ასეთი ხასიათისაა სხვადასხვა ეკლესიების გალავანი—ვანჭი ქაშვეთი, ანჩისხატი, მეტეხი, რომელიც მდინარის კლდოვან ციკაბო რელიეფზე დგას და თავისი გალავნის მიუხედავად სრულად აღიქმება ქალაქის კუთხიდან.

ასეთივე გახსნილი ხასიათის გალავნითაა შემოზღუდული ქალაქის ცალკეული პატარა უბნები (ციხის უბანი, ...). სრულად, ლალად, თავისუფლად



ალიკმება სხვადასხვა ნაგებობები: საცხოვრებელი სახლები თუ ეკლესიები ამ
გალაგნებს შიგნით.

ასეთივე გალავანი გამოყოფს ქუჩისაგან თბილისურ საცხოვრებელ
სახლს, რომელიც ეზოს ფასადით არის მიმართული ქუჩისაკენ, ღია სივრცის-
კენ: ხის, დაკიდული, გადახურული, რიკულებიანი აივნით ყველა სართულ-
ზე, სამივე მხარეს. შუშბანდით, კიბეების და გადასასვლელების რთული,
ქსელით, ხის სვეტებითა და რიკულებით, მთელი თავისი შიდა ცხოვრებით.
ქუჩისაგან ეზოს გამოყოფი გალავნის სიდაბლე, ღია აყურული გისოსიანი ალა-
ყაფის კარით, გალავანში ამოღებული გისოსიანი ღია ურიველო ფანჯრით
და სხვა, თავისთავად ამ გალავნის „გახსნილ“ ხასიათს ქმნის.

2. ისტორიული თბილისის სტრუქტურის და მისი ცალკეული შენობე-
ბის გახსნილობის მომენტს ქმნის მათი განუყოფელი ელემენტი — თბილი-
სური ხის, გადახურული, დაკიდული აივანი. სწორედ აივანი არის ის აქტუ-
რი ელემენტი, რომელიც თბილისური სივრცეების გახსნილობას და ერთმა-
ნეთში გადაღვრას და მთელი თბილისური სტრუქტურის მტვრისკენ გახსნას
უზრუნველყოფს.

მტკვარზე გამოსვლის, მისკენ გახსნის პრინციპზეა აგებული ფაქტიუ-
რად მთელი ქალაქი (განსხვავებით დასავლეთის ნებისმიერი ქალაქისაგან,
რომელიც თითქმის ყოველთვის მდინარეზეა გაშენებული და მდინარისაკენ
არ იხსნება და აგრეთვე იმ იშვიათი აღმოსავლური ქალაქებისაგან, რომე-
ლიც თითქმის ყოველთვის მდინარეზეა გაშენებული და მდინარისაკენ არ
იხსნება). სწორედ ეს გახსნილობის პრინციპია, როგორც ვთქვით, თბილისის
არქიტექტურული სპეციფიკის საფუძველი და მას მიჰყვება თბილისის
სტრუქტურის შემადგენელი ნებისმიერი ელემენტი: პირადული თუ საზო-
გადოებრივი (საცხოვრებელი ეზოთი, ქარვასლა ეზოთი, სასახლე ეზოთი).
ამ პრინციპზეა აგებული მოედნის და ქუჩის სივრცეებიც მეტიც — ზედ მდი-
ნარის ნაპირზეა მოთავსებული ქალაქის მოედნები, ყველა ქუჩა მდინარისკენ
არის მიმართული და მასში იღვრება.

თბილისური ხის აივანი შენობის როგორც ეზოს ისე ფასადის მხარეს
ოთახის ინტერიერის უშუალო გაგრძელებას წარმოადგენს, საცხოვრებლის
ინტერიერად არის ქცეული გარეთა ფასადის მხარეს მოთავსებული ხის
აივნის საშუალებით სახლის ინტერიერი თავისი ეზოთი უერთდება ღია სივრ-
ცეს (ქუჩა, მოედანი, მდინარე), მისი ინტერიერის ნაწილი ხდება: ეზო —
აივანი — ოთახი — აივანი, ქუჩა (მოედანი, მდინარე), აივანი — ოთახი —
აივანი — ეზო. ამ გზით დახურული ეზოც კი უერთდება ქალაქის გარემოს
სწორედ ამ თვალსაზრისით შეიკავს იგი გახსნილობის გარკვეულ მომენტს.
რომელიც თბილისური ეზოს უნიკალურ თავისებურებად გვესახება.

დაკიდული ხის აივნის საშუალებითვე ხორციელდება თბილისური ქარ-
ვასლის შერწყმა გარემოსთან. მისი აივანი საცხოვრებელი სახლის აივნის
ანალოგიურად ქარვასლის ტანის, მისი სათავსების ინტერიერის ნაწილი
ხდება; ასეთი ქარვასლის სივრცე გადაიღვრება როგორც მის ეზოში შიდა
აივნების საშუალებით, ასევეა ღია სივრცეში (ქუჩა, მდინარე, მოედანი).

სწორედ ამ გზით ქმნის ხის აივანი მთელი თბილისური მიკრო და მაკ-
რო სივრცეების ერთიანობას და ანიჭებს ქალაქს ერთ არქიტექტურულ სა-
ხეს, ქმნის თბილისურ „კონტექსტს“.



თბილისური დაკიდული, გადახურული ხის აივანი უზრუნველყოფს მომხმარებლის გახსნას და მის მტკვრისკენ გადაღვრასაც, მიუხედავად იმისა სად მოთავსებული მოედანი განაშენიანების სიღრმეში თუ ზედ მდინარის პირას. თბილისური მოედნის სივრცე იქმნება ღია სივრცის ირგვლივ დაკიდული ხის აივნიანი ნაგებობების დაჭრუფებით (საცხოვრებელი სახლები, ქარვასლა, სასახლე). აივნიანი ფასადები კრავენ მოედნის სივრცეს და ხსნიან შენობების ინტერიერს მოედნისაკენ. ამავე შენობების შიდა ფასადების ხის აივნები კი აღწერილი გზით ახორციელებენ თავიანთი შენობების კონტაქტს განაშენიანების დანარჩენ შენობებთან (მოედანი—აივანი—ოთახი—აივანი—ეზო—ქუჩა ან ისევე ეზო—აივანი—ოთახი—აივანი...) და უზრუნველყოფენ მთელი განაშენიანების გახსნას მტკვრისაკენ. მტკვრისპირა მდებარე ფასადის ყველა შენობა—საცხოვრებელი სახლი, ქარვასლა, სასახლე—აივნით გადაკურებს მტკვარს.

ამ პრინციპზეა აგებული თითქმის მთელი ქალაქი. ამაში მდგომარეობს სწორედ თბილისის სივრცითი ორგანიზაციის პრინციპული ტიპოლოგიური სპეციფიკა. მთლიანი სივრცეების ერთიმეორეში გადაღვრა პირდაპირ მიპყვება რელიეფს, კერძოდ ნარიყალას ძირიდან, ფერდობის გაყოლებით, მტკვრამდის, ზემოაღწერილი გზით: ეზო — ეზოში, ეზო — ქუჩაში, ქუჩა — ეზოში და ა. შ. ქვემოთკენ მდინარემდე: ოთახი — აივანი — ეზო — აივანი — ოთახი — აივანი — ქუჩა — აივანი — ოთახი... და ა. შ.

სივრცითი ორგანიზაციის მხრივ ამავე კანონზომიერებას ემორჩილება თბილისური ქუჩა. აქაც შედგენდება გახსნილობასთან შერწყმული დახურულობისაკენ სწრაფვა, რაც შემდეგში ვლინდება; იმ გახსნილობასთან ერთად, რომელიც უნივერსალური მახასიათებელია ყველა ქუჩისა, თბილისის ქუჩას ახასიათებს მისთვის სპეციფიური გახსნილობა; ქუჩის ორივე მხარეს მდებარე სახლების ინტერიერი, ზემოაღწერილი გზით იხსნება ქუჩისკენ და ამ საერთო სივრცის საშუალებით ერთმანეთს ერწყმის. ამგვარად მყარდება უნიკალურად უშუალო კონტაქტი ქუჩის ორივე მხარეს მდებარე სახლებს შორის. იქმნება თბილისური ქუჩის სპეციფიური გახსნილობა. ამასთან ერთად თბილისური ქუჩა დახურულობის სპეციფიურ მომენტსაც შეიცავს. ქუჩის სივრცეს რამდენიმე პერსპექტივი აქვს, რასაც ქუჩის რელიეფის მიმყოფი პლასტიური კონფიგურაცია ქმნის. ქუჩის თითოეული მონაკვეთი, გარკვეული აზრით, თავის თავში დახურულია ანუ აქვს საკუთარი პერსპექტივი, რომელიც ამავე ქუჩის შემდეგ მონაკვეთში ახალი პერსპექტივით იცვლება და ა. შ. თბილისური ქუჩის ამ ცნობილ თვისებას ჩვენ აღვიქვამთ თბილისის მთელი ურბანული სტრუქტურისათვის და მისი კომპონენტებისათვის დამახასიათებელ მცირე დახურულობის ელემენტად.

* ისლამურ, დასავლეთ-ევროპულ და რუსულ ურბანულ სტრუქტურებზე ცალკე გვეჩვენა საუბარი.

** გახსნილია ქართული სახლის უძველესი ტიპი. იხ. В. Беридзе. Место памятников Тао-Кларджети в истории Грузинской архитектуры. Тбилиси, 1981, стр. 120.

უნიკალური ციხე-სახლები სოფ. ფარსმავი

საქართველოს მთიანეთის ტრადიციული ხალხური არქიტექტურა დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა. ქართველ მთიელთა საცხოვრებლების არქიტექტურული ტიპების სტანდარტიზირებული ფორმები დამოკიდებული იყო მათი შემქმნელი ხალხის ცხოვრების ხასიათსა და კულტურაზე, რელიეფზე, კლიმატზე და ა. შ. აღნიშნული გარემოებანი მშენებლებს აიძულებდა ეძებნა ნაგებობათა მოცულობით-სივრცობრივი გადაწყვეტისა და დასახლების ორიგინალური ფორმები. ასე იქმნებოდა და ყალიბდებოდა საუკუნეების მანძილზე მთიელთა საცხოვრებელი ნაგებობანი, მათი განვითარების გზებსა და ხასიათს გარკვეულ ფაქტორთა (ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური) ურთიერთმოქმედება განაპირობებდა. მთურმა საცხოვრებლებმა მნიშვნელოვანი სახეცვლილებანი განიცადეს. ყოველ მომდევნო პერიოდს გარკვეული თავისებურება შეჰქონდა, რაც საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარების დონით იყო გამოწვეული. ასე იქმნებოდა ამა თუ იმ პერიოდისათვის დამახასიათებელი ტიპური ტრადიციული საცხოვრებელი ნაგებობანი თუ კომპლექსები, რომლებშიც შემდგომ ეტაპებს თავისი კორექტივები შეჰქონდა.

შეიძლება ითქვას, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში თუშეთი ხალხური ხუროთმოძღვრების ცოცხალ მუზეუმს წარმოადგენს. აქ თითქმის უცვლელადაა შემონახული ძველი დასახლებანი, საცხოვრებელი და საკულტო ნაგებობანი.

როგორც ცნობილია რიგი წლების მანძილზე ადგილი ჰქონდა აღმოსავლეთ საქართველოს მთის მოსახლეობის, მათ შორის თუშების მიგრაციას ბარად. ამჟამად უკუპროცესია დაწყებული, რაც განსაკუთრებით ომლომდე საავტომობილო გზის გაყვანამ დააჩქარა. თუშები უბრუნდებიან მიტოვებულ ნაფუძვარებს.


ცხადია, რომ ძველი ტიპის საცხოვრებლები მოსახლეობის დღევანდელ მოთხოვნილებებს აღარ შეესაბამება, ხდება ძველის რეკონსტრუქცია, რაც იერ-სახეს უცვლის დასახლებებს. დართლოსა და ფარსმავი ადგილობრივი მოსახლეობის მიერ უკანასკნელ წლებში ჩატარებულმა აღდგენითმა სამუშაოებმა, განსაკუთრებით სახლების თუნუქით გადახურვამ მკვეთრი დისონანსი შეიტანა დასახლების გარეგნულ ფორმებში. ეფიქრობთ საჭიროა სასწრაფოდ გამოიყოს რამდენიმე სოფელი, რომლებმაც ნაგებობათა ძველი ფონდი უცვლელად უნდა შემოუნახონ მომავალ თაობებს.

ამჯერად ყურადღება მიიღა გავამახვილო სოფ. ფარსმის უნიკალურ ციხე-სახლებზე. სოფ. ფარსმა პირიქითის ალაზნის ზედაწელში მდებარეობს. სოფლის დასავლეთით, მისგან 40 მ. დაცილებით დაქანებულ ფერდზე სამი ციხე-სახლია ამართული. აქვე მდგარა კოშკი, რომლისგანაც მხოლოდ საძირკვლის ნაშთებსღა მოუღწევია ჩვენამდე.

ციხე-სახლებიდან ერთ-ერთს, რომელიც ღრმა უფსკრულის თავზეა აგებული, იდიძეებს აკუთვნებენ (გვგებები, ჭრილი, და ფსადი იხ. სურ. 1,2). იგი ნატეხი ქვითაა აშენებული. ქვებს შორის შეიმჩნევა თიხანარევი მიწის კვალი. კედლები შეუღესავია როგორც გარედან ისე შიგნიდან.

სურ. 1. გეგმები.

Фото 1. Планы.




ციხე-საბლის გეგმა ოდნავ წაგრძელებულ სწორკუთხედს წარმოადგენს (7,5X9 მ). პირველი სართულის ფართი 42 მ² შეადგენს. ნაგებობა შვიდსართულიანია. მისი სიმაღლის 14,5 მ-ია შემორჩენილი.

სართულშუა გადახურვები და სახურავი დიდი ხნის წინ ჩაქცეულა. კედლებზე დარჩენილი ბუდეების მიხედვით სართულშუა გადახურვები ხის კოჭებზე იყო მოწყობილი. სამხრეთ-აღმოსავლეთისა და ჩრდილო დასავლეთის კედლებს ცენტრალურ ნაწილში შიგნიდან პილასტრები აყვებათ ბოლო სართულ-


სურ. 2. კრილი და ფასადი.

Фото 2. Разрез и фасад.







სურ. 3. გეგმები.
Foto 3. Планы.



ამდგ. გადახურვების ცენტრალური კოჭები სწორედ შათ შორის ყოფილა გადებული. შენობის ზედა ნაწილი ძალზეა დაზიანებული და ძნელია სახურავის ფორმის დადგენა. საფიქრებელია, რომ მას ტრადიციული ქანობიანი სახურავი გააჩნდა. სახურავ მასალად ფიქალის ფილები იყო გამოყენებული.

სურ. 4. კრილი და ფასადი.
Foto 4. Разрез и фасад.





სურ. 5. კრილი და ფასადი.

Photo 5. Разрез и Фасад

პირველ, მეორე, მესამე და მეოთხე სართულებში შესასვლელები ჩრდილო-დასავლეთის კედელშია გაჭრილი. მეხუთე სართულს ჩრდილო-აღმოსავლეთის კედელში აქვს გაკეთებული კარი. კარის ღიობები ტრადიციული აგებულებისაა. წირთხლებთან გარეთეფნ ნაოთხალებია გამოყოფილი. წირთხლებში საურდულე ხერხელებია დატოვებული.

ციხე-სახლის სამხრეთ-დასავლეთის კედელში მეორე, მესამე, მეოთხე და მეხუთე სართულებზე ორ-ორი სარკმელია. მესამე მეოთხე, მეხუთე სართულებზე კედლებში სათოფური ხერხელებია მოწყობილი, ხოლო მეექვსე სართულზე ოთხსავე მხარეს ორ-ორი დუბლირებული სალოდეა გაკეთებული.

ციხე-სახლის პირველი და მეორე სართული საქონლის სადგომად გამოიყენებოდა. მესამე-მეხუთე სართულებში ოქახის წვეკრები ცხოვრობდნენ, ხოლო ბოლო სართულები თავდაცვის ფუნქციას ასრულებდნენ.

აღწერილი ნაგებობის სამხრეთ-აღმოსავლეთით ავზომეთ მეორე ციხე-სახლი (გეგმები, კრილი, ფასადი, იხ. სურ. 3). იგი აგებულია ნატეხი ქვით. პირველი, მესამე და მეოთხე სართულები შიგნიდან შელესილია მიწანარევი ნაკელით.

ციხე-სახლის გეგმა აქაც ოდნავ წაგრძელებული ოთხკუთხედის მოხაზულობისაა (9,3X8,4 მ). პირველი სართულის ფართი 43 მ² შეადგენს. ნაგებობა ექვსსართულიანია. მისი სიმაღლის 12,5 მ. შემორჩენილი.



სართულშუა გადახურვები და სახურავი დიდი ხნის წინაა ჩაქცეულნი. ჩინური ხის კოშკებზე ყოფილა მოწყობილი. ციხე-სახლის ჩრდილო-დასავლეთით ფრონტონი მიგვანიშნებს, რომ სახურავი ორფერდა უნდა ყოფილიყო.

პირველ, მეორე, მესამე და მეოთხე სართულებს თითო შესასვლელი გააჩნიათ, რომლებიც ჩრდილო-დასავლეთის კედელშია გაჭრილი. ამავე მხარეს მესამე, მეხუთე და მეექვსე სართულებზე თითო სარკმელია. მეორე, მესამე, მეოთხე მეხუთე და მეექვსე სართულებზე სამხრეთ-დასავლეთის კედელში ორ-ორი სარკმელია. მესამე — მეექვსე სართულებზე კედლებში სათოფურია ხვრელებია.

აქაც, როგორც პირველ ციხე-სახლში, პირველ-მეორე სართულები საქონლის სადგომად გამოიყენებოდა. მესამე-მეხუთე სართულებზე ოჯახის წევრები ცხოვრობდნენ, ხოლო ბოლო სართული თავდაცვის ფუნქციას ასრულებდა.

როგორც ზემოთაც აღინიშნა ციხე-სახლებთან კოშკის ნანგრევი შეინიშნება. ჩვენი საუკუნის ორმოციან წლებში იგი აუზომოა მ. ჯანდიერსა და გ. ლეეავას (ჭრილი და ფასადი იხ. სურ. 5). კოშკი ექვსსართულიანი ყოფილა. მას ბოლო სართულზე სამ მხარეს სალოდევები ჰქონდა გაკეთებული, ხოლო მეოთხე მხარეს-დიდი ზომის ოთხკუთხა მოხაზულობის სანიშნო ლიობი. კოშკი ცალფერდა სახურავით იყო გადახურული. სართულშუა გადახურვები ხის კოშკებზე ყოფილა მოწყობილი. კოშკის პირველ, მეორე, მესამე, მეოთხე სართულებს თითო შესასვლელი გააჩნდა.

აღწერილი ციხე-სახლები მშენებლობის ტექნიკითა და განსაკუთრებული დიდი ზომებით გამოირჩევიან. ექვსი-შვიდ სართულიანი ციხე-სახლები კავკასიის მთიანეთში ჯერ არ შეგვხვდრია. თვით თუშეთისათვის ტიპურია სამ. გამონაკლის შეძახვევაში, ოთხსართულიანი ციხე-სახლი. აუცილებელია გარკვეული ღონისძიებების მიღება, რათა ამ უნიკალურმა ძეგლებმა კოშკის ბედი არ გაიზიარონ. ასეთად პირველ რიგში მათი კონსერვაცია მიგვაჩნია.

სოფ. ტყვის ს. გიორგის სალოცავი

საქართველოს მთიანეთში ისტორიული მნიშვნელობის მქონე ნაგებობათა შორის გამოირჩევა ერთი ჯგუფი ძეგლებისა, რომელთაც ჩვენი ხალხის რელიგიური აზროვნების წარსულის შესწავლისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს.

ამ კატეგორიის ძეგლებს განეკუთვნება ხალხურ რელიგიასთან დაკავშირებული საქვარ-ხატე ნაგებობანი. აღნიშნული ტიპის ძეგლები მეტწილად აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ცალკეულ კუთხეებში, ოსეთისა და ინგუშეთის მთამალაში გვხვდება. მათი მნიშვნელობა ტრადიციის ზეგავლენით წარმართობის დროიდან უნდა მომდინარეობდეს. საქართველოს ბარში ქრისტიანობის დამკვიდრების შემდეგ იწყება ახალი რელიგიის მთის რაიონებში გავრცელება. ხელსაყრელი პოლიტიკური ვითარების პირობებში აქ მეტწილად დარბაზული ტიპის მცირე ზომის ეკლესიებს აგებდნენ და მოსახლეობა გარეგნულად აღიარებდა ქრისტიანულ სარწმუნოებას. პოლიტიკური ვითარების გაუარესება იწვევდა იმ მდგომარეობას, რომ მოსახლეობაში კვლავ წარმართული რწმენა-წარმოდგენები მძლავრობდნენ ქრისტიანული მინარევებით და აღნიშნულ ეკლესიებში ჩატარებული რიტუალები უკვე რელიგიური სინკრეტის არსებობაზე მიუთითებენ.

ზემოთქმულის საილუსტრაციოდ მოგვყავს სოფ. ტყვის წმ. გიორგის სალოცავის აღწერილობა (გეგმა, კრილები და ფსადი) ადგილობრივი მოსახლეობა მას ვასტერჯი ძვარ-ს უწოდებს.

ყაზბეგის რ-ნის სოფ. ტყვი თრუსოს ხეობის ზედა წელშია მოქცეული წმ. გიორგის სალოცავი მდებარეობს სოფლის სამხრეთით მდინარეების თერგისა და ტყვი დონის შეერთების ადგილას. რელიეფი სწორია.


სალოცავი გალავნით შემოზღუდული ტერიტორიის ცენტრალურ ნაწილშია აგებული. გალავნი გეგმაში ოთხკუთხა მოხაზულობისაა და მისი გაბარიტული ზომები 20,5X 20 მ. შეადგენს. გალავნის კედლები ნატეხი ქვითაა ნაგები. წყობა მშრალია. კედლების სიმაღლე 1,8 მ. აღწევს. ადრე სიმაღლე ბევრად უფრო მეტი უნდა ყოფილიყო. ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხესთან კედლის ნაწილი ჩამონგრეულია.

გალავანში შესასვლელის დადგენა ძნელია, რადგანაც აქ ჩატარებული ყოველი დღესასწაულის შემდეგ მას ქვის წყობით ავსებენ. საუარაუდოა, რომ კარი გალავნის დასავლეთის კედელში იყო გაჭრილი.


წმ. გიორგის სალოცავი გეგმაში ოდნავ წაგრძელებული ოთხკუთხა მოხაზულობისაა (4,6აX3,95). იგი ნატეხი ქვითაა ნაგები. წყობა აქაც მშრალია.

ეკლესია ორქანობიანი სახურავითაა დასრულებული. ქანობები ძალზე მცირეა. აღმოსავლეთისა და დასავლეთის კედლებს შორის მრგვალი განიკვეთის მქონე სამი კოჭია გადებული, რომლებზეც ფიქალის ფილების ფენილია მოწყობილი. სახურავის ჩრდილოეთის ქანობზე ექვსი ფილაა, ხოლო სამხრეთისაზე კი ხუთი.

ნაგებობაში შესასვლელი ოთხკუთხა მოყვანილობის კარი სამხრეთის კე-



ჭრილი.
Разрез.
გეგმა.
План.



დელშია დატოვებული. შესასვლელს წირობლებთან გარეთეკენ ნაოთხალები აქვს გამოყოფილი.

სამხრეთის კედელში ინტერიერის მხარეს ერთი ნიშია გაკეთებული. დასავლეთის კედელშიაც ერთი დიდი ზომის მქონე ნიშია გაჭრილი, ჩრდილოეთის კედელში კი მცირე ზომის ნიში. ამავე კედლის ცენტრალურ ნაწილში იატაკის დონიდან 30 სმ-ის სიმაღლეზე კედლის წყობაში მოსწორებული წისქვილის დოლაბია გამოყენებული. ნაგებობათა კედლებში წისქვილის დოლაბის გამოყენების პრაქტიკა კავკასიონზე სხვაგანაცაა შემჩნეული (ხევსურეთი, ინგუშეთი). წმ. გიორგის სალოცავის მახლობლად მდ. ტეფი დონზე წისქვილები იყო გამართული. მათი ნანგრევები დღესაც საკმაო რაოდენობით შეინიშნება. შესაძლებელია სალოცავის აშენების პერიოდში გაკეთილი დოლაბი გამოიყენეს სამშენებლო მასალად.

ეკლესიის აღმოსავლეთის კედელში სამი მცირე ზომის ნიში და სარკმელია. სარკმელთან კედლის წინ, მისგან 20 სმ-ის დაცილებით მასიური ქვის ოთხკუთხა ვანიცკეთის (35×35 სმ) მქონე 55 სმ-ის სიმაღლის საკურთხეველი დგას.

აღწერილობიდან ნათლად ჩანს, რომ წმ. გიორგის სალოცავი ან „ძუარი“ მცირე ზომის სწორკუთხა საკურთხეველიან ეკლესიას წარმოადგენს, რომლის ტიპის ნაგებობანი საკმაო რაოდენობითაა გავრცელებული ცენტრალური კავკასიონის როგორც სამხრეთის ისე ჩრდილოეთის კალთებზეც! ანალოგიური სახის ეკლესია საქართველოს ბარშიაც არის დაფიქსირებული.



წმ. გიორგის სალოცავში დღესასწაული წელიწადში ორჯერ ტარდებოდა: ნოემბრის დასაწყისში და აგვისტოს შუა რიცხვებში. სალოცავს თავისი ნიშნი (ძუარ ლეგ) ყავდა, რომელსაც ირჩევდნენ კალაგოეების გვარიდან (სოფ. ტეშვი კალაგოეები და კალოეები ცხოვრობდნენ). სოფლის მცხოვრები ყველა ოჯახი ვალდებული იყო აღენიშნა წმ. გიორგის დღესასწაული, რადგანაც მათი წარმოდგენით მასზე იყო დამოკიდებული ოჯახის წევრთა ჯანმრთელობა: ის მფარველობდა მონადირეებსა და მწყემსებს, სჯიდა ფიცის გამტეხებსა და ქურდებს.

დღესასწაულზე ოჯახის წევრები უფროსი მამაკაცის წინამძღოლობით მიდიან შუადღისათვის მათ თან მიჰქვთ ხის შამფურზე. აგებული ცხერის მოხარული მარჯვენა მხარის სამი ნეკნი გულღვიძლით, სამი ხაჭაპური, ნახევარი ლიტრი არაყი, ლუდი, ვერცხლის ფული და სამი სანთელი. თუ ბევრი მლოცველი შეიკრება დეკანოზს დამხმარეს მიუჩენენ. ეს უკანასკნელი ვალდებულია უხელმძღვანელოს ხალხს ლოცვისა და სუფრაზე დაჯდომის დროს. სუფრაზე ქალები და კაცები ცალ-ცალკე ჯდებიან. დეკანოზს შეწირული ხორაგის ნაწილი, სანთლები და ფული შეაქვს სალოცავში და წმ. გიორგის სწირავს. ფული ჩვეულებრივ სალოცავის შესაყებლად გამოიყენება. სუფრაზე, როგორც წესი, პირველ სამ სადღეგრძელოს დეკანოზი წარმოთქვამს ღვთაებების სახელზე. თუ დღესასწაულს შემთხვევით შემოსწრებულ მონადირეს ან მგზავრს თან ფული არ აღმოაჩნდათ, ისინი სალოცავში ტყვიას ან რკინის ღილს ტოვებდნენ.

მლოცველები საღამოს სახლებში ბრუნდებოდნენ და ახლა აქ აგრძელებდნენ დროსტარებას.

შენიშნულია რომ არ არსებობს ისეთი ოსური სოფელი, რომელშიაც წმ. გიორგის სალოცავი არ იყოს.

ვიფიქრობთ ზემომოყვანილი მასალა შემდეგი დასკვნის გაკეთების უფლებას იძლევა.

თრუსოს ხეობაში, ისევე როგორც საქართველოს მთამალაქში, ახალი იდეოლოგია საკულტო ნაგებობის ახალი ტიპის შექმნის ამოცანას სახავს. ხალხური სამშენებლო ხელოვნების ადგილობრივი ტრადიციების გავლენით ყალიბდება სწორკუთხა საყრდენებისა და ქრისტიანული საკულტო ნაგებობა, რომელშიც წარმართული სალოცავიდან გარკვეული ელემენტები შეინარჩუნა. აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ მთიანი მხარის ძნელ პირობებში ქრისტიანულ შეტევას სხვა გამოსავალი არ ჰქონდა გარდა იმისა, რომ შერწყმოდა ადგილობრივ წარმართულ ტრადიციას. ამით ის უფრო გასაგები და მისაღები უნდა გამხდარიყო მთიელისათვის, რადგანაც ქრისტიანობა საქართველოს მთიანეთის მეტ ნაწილში გარეგნულ ხასიათს ატარებდა. ქრისტიანული ნაგებობანი წარმართული კულტის ობიექტებად იქცეოდნენ და ახალი რელიგიის გავრცელებისათვის საკურო პირობების არარსებობისას კვლავ წარმართული წესჩვეულებანი მძლავრობდნენ.

¹ ვ. ბერძენი, წმ. შარინეს სამლოცველო მთიულეთის სოფელ სეთეში, ძველის მეგობარი, № 26, თბ., 1971 41-44. ლ. ზეციშვილი, ა. ქალანი ქრისტიანობის დროინდელი ერთი ძველი ინგუშეთში, ძველის მეგობარი, № 54, თბ. 1980 31-35. ლ. ზეციშვილი გლ-კრდი-ქრისტიანობის დროინდელი ძველი ინგუშეთში, ძველის მეგობარი, №64, თბ. 1983 გვ. 63-66.

² ვ. ჯაფარიძე, ჩვენი ისტორიის ერთი მემკვიდრე (კვლავ ბუჩქნარაშენის ეკლესიის შესახებ) „ძველის მეგობარი“, № 39, თბ., 1975. გვ. 73-78.

³ Чибиров Л. А. Народный земледельческий календарь осетин, Цхинвали, 1976.

სოფელ მოედნის ღვთისმშობლის ეკლესია

ლანჩხუთის რაიონის ჩოჩხათის სასოფლო საბჭოში გაერთიანებულია რამოდენიმე სოფელი, მათ შორის ს. მოედანი და ს. შრომისუბანი (აღრინდელი ოკვანე). ამ სოფლებს ჰყოფს მდ. სუფსის ერთერთი მარჯვენა შენაკადი მდ. შუთი.

მოედნის განაპირას, სასაფლაოს ბორცვზე, დგას სახურავჩაქცეული ეკლესია. მის დასავლეთით და ჩრდილოეთით გაშლილი ტერიტორია წარმოადგენს სუფსასა და შუთს შორის კონცხივით წინწახიდულ, საკმაოდ დიდი ფართობის დაეკებას, რომელიც მდინარეთა აღრინდელ შესართავთან (ამჟამინდელ „ნაუფსარასთან“) მკვეთრად დაბლდება. თვით მოედანს და შრომისუბანს უკავია აღნიშნული ტერიტორიის მიმდებარე გორაკები და ფერდობები.

შესაიწოა, თავდაპირველად ეკლესიის შემოგარენს შეერქვა „მოედანი“, რადგან დიდი ხნიდან მოყოლებული აქ ადგილი ჰქონდა ხალხმრავლობას რელიგიური დღესასწაულებისა თუ სხვა შემთხვევების დროს; შემდგომში კი ეს სახელი ნიმდებარე დასახლებაზეც გავრცელდა. ახლომახლო სოფლების მცხოვრებნი ამ ეკლესიაში იხათლებოდნენ, იწერდნენ ჯვარს, დადიოდნენ წირვა-ლოცვის მოსასმენად, ხოლო ბორცვის ირგვლივ და დაბლა მარჯვენდენ თავიანთ მიცვალებულებს (სუფსის გაღმა მდებარე ს. ორმეთიდან ცხედარი ნაეით გამოწყავდათ).

ძველი ქართული ხუროთმოძღვრების სხვა ძეგლების მსგავსად მოედნის ეკლესია კარგ შესატყვისობაში იქნებოდა გარემოსთან. იგი ეხლაც შთამბეჭდავად აღიქმება ყველა მხრიდან. თვით იმ ბორცვიდან, რომელზედაც ეკლესია დგას, შესანიშნავი ხედი იშლება: სამხრეთ-დასავლეთით ქვემოთ გაშლილია სუფსის ხეობა, ხოლო აღმოსავლეთით და ჩრდილო-დასავლეთით საქართველოს ზღვისპირეთისათვის დამახასიათებელი სუბტროპიკული მცენარეულობის ხშირი ტყვრით შემოსილი მთა-გორაკები.

შრომისუბნის რეაწლიანი სკოლის მასწავლებელს, მოედნის ეკლესიის პირდაპირ, შარავჯის მეორე მხარეს მცხოვრებ ფ. ხუბუნიაშვილს კარგად ახსოვს, რომ ეკლესიას ჰქონდა გუმბათი წახნაგებიანი ყელით.

თსუ დიალექტიკური მატერიალიზმის კათედრის ყოფილი გამგე, ამჟამად პერს. პენსიონერი პ. გუჯაბიძე, რომელიც ოკვანეში ცხოვრობდა 1907-27 წლებში, იგონებს, რომ მოედნის ეკლესიის გუმბათი ეყრდნობოდა შენობის შიგნით თავისუფლად მდგომ ოთხ ბოძს.

დამსახ. მასწავლებელი, აწ. განსვენებული ვ. გუჯაბიძე, რომელიც ოკვანეში დაიბადა 1909 წ. და იქ ცხოვრობდა 1929 წლამდე, თავის ჩანაწერებში აღნიშნავს, რომ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე რამოდენიმე ხნით ადრე მოედნის ეკლესიაში ღვთისმსახურებას ასრულებდნენ მღვდელი დიმიტრი ჩხარტიშვილი და დიაკონი ბლავიძე, დღესასწაულების დროს ეკლესიაში მოზრდილებს პატარებზეც ახლდნენ. წირვისას მშობლებთან ერთად ტაძარში მყოფ ბავშვს თვალს სტაცებდა მოხატული კედლები; განსაკუთრებით ხიბლავდა ღვთისმშობლის გამოსახულება საკურთხევლის აფსიდის კონქში და მის



აქეთ-იქით მთაწარანგელოზები... ბზის დიდ ზეებს შორის მდგარი ეკლესიის თეთიის სახურავი შორიდან ვერცხლისფრად კიაფობდა, ხოლო მისი ზარბაზნისებრი ხმა მახლობელი სოფლების ყველაზე დაშორებულ კუთხეშიც კი მკაფიოდ მოჰქონდა. ყოველ წელს მოედნის ეკლესიასთან თავს იყრიდა უამრავი ადამიანი მარიობასა და ღვთისმშობლობაზე. ხალხი მოდიოდა არა მარტო მახლობელი, არამედ შორეული სოფლებიდანაც. ამ დღესასწაულებს ესწრებოდა თვით გურიელი, რომელიც ამ დროს დიდი ამალით ჩამოდიოდა ოკვანეში თავის რეზიდენციაში. სოფლის დასავლეთ განაპირა გორაკის თავზე აგებული სასახლე და ციხე გადაკუთრებდა სუფსის განიერ ზეობას; ეზოდან აღმოსავლეთ, სამხრეთ და დასავლეთ მხარეს იშლებოდა მშვენიერი პანორამა: დაბლა სიმინდის ყანებს შორის მიმოხვეული სუფსა, უკან მომაღლოდ ტყიანი გორაკები და უფრო შორს გურია-აჭარის მაღალი მთები (აღმოსავლეთი მიმართულებით შორი მთების ფონზე, აქედან ახლაც კარგად მოსჩანს მდინარის ღონესთან შედარებით საკმაოდ მაღალ ბეჭობზე მდგარი მოედნის ეკლესიის თეთრი კედლები ზეთა სიმწვანეში). ამჟამად გურიელის ციხე-დარბაზიდან გადარჩენილია გალაკენის მცირე ნანგრევი (დღეს ი. ხომერიკის კარმიდამოზე) და აგრეთვე ჭაჭკით დაბჭული დათვისათვის განკუთვნილი, კლდეში შეკვეთილი და წინიდან აგურით ამოყვანილი თაღიანი სადგომი... გასაბჭოების შემდეგ მოედნის ეკლესიაში ღვთისმსახურება შეწყდა. შენობა ერთხანს დაკეტული იყო. კოლმეურნეობის ჩამოყალიბების შემდეგ მასში კოლმეურნეთა საერთო კრებები, კომკავშირელთა თვითშემოქმედებითი წარმოდგენები და ჩამოსულ ავიატორთა მოხსენებები იმართებოდა. ეკლესიის დასავლეთით და ჩრდილოეთით გაშლილ ფართობზე კოლმეურნეობამ ჩაის პლანტაცია გააშენა. მოედნის მცხოვრებთათვის სამარხად დატოვებულ იქნა ეკლესიის აღმოსავლეთით და სამხრეთით მიმდებარე მცირე ტერიტორია: შრომისუბანს სასაფლაოდ გამოეყო ადგილი შუთის მარჯვენა ნაპირზე, წისქვილიანში.


თსუ ეკ. გეოგრაფიის კათედრის გამგეს ვ. გუჯაბიძეს 1948 წ. უნახავს მოედნის ეკლესია, რომელიც იმ დროს კოლმეურნეობის საწყობად იყო გამოყენებული. მაშასადამე 1948 წ. საწყობად გამოყენებულ შენობას გადახურვაც დაუზიანებელი და კარებიც შებმული ექნებოდა.

ამჟამად, არც თეთიის სახურავი, არც გუმბათი, არც კამარები აღარ აქვს შემორჩენილი მოედნის ეკლესიას. დგას მხოლოდ ოთხი, რიყის ქვით ნაშენი კედელი. მიწის ზედაპირიდან დაახლოებით 2 მ-ის ზემოთ შებურთული გარდანაც და შიგნიდანაც სუროს იმდენად ხშირი საფარით, რომ ნანგრევი მთლიანობაში ერთ გიგანტურ ზეს წააგავს: ძლივს გაირჩევა კედლების ზედა მოხაზულობა და საკმარების განლაგება (სურ. 1). ირგვლივ მდგარი ბზის ზეობის ნაცვლად თანამედროვე საფლავეზე აქა-იქ დარჩული, უკვე საკმაოდ მაღალი, ნაწვებია. ეკლესიის დასავლეთით დაახლოებით 3 და 20 მეტრის დამორებით ჯერ კიდევ შეიმჩნევა მიწის ზედაპირამდე დარღვეული და რიყის ცალკეულ ქვებად დაშლილი ორი ნაგებობის ნაშთი. ადგილობრივ მკვიდრთა ცნობით ბირველი ყოფილა სამრეკლო, ხოლო მეორე სამეურნეო დანიშნულების შენობა. ქვების უმეტესობა ახლო-მახლო მცხოვრებთა მიერ გამოყენებულია სამეურნეო საჭიროებისათვის, თუნდაც იქვე გამართული ბოსტნის მესერის სამირკვლად.




სურ. 1. შოენის ღვთისმშობლის
ეკლესია, ხედი სამხრეთ-აღმოსავ-
ლეთიდან.

Церковь Богоматери в с. Моедани.
Вид с юго-востока.



სურ. 2. შოენის ღვთისმშობლის
ეკლესია, გეგმა.

Церковь Богоматери
в с. Моедани, План.



სურ. 3. შივედნის ღვთისმშობლის
ეკლესია. სამხრეთი პორტალი
(ხემა).

Церковь Богородицы
в с. Шиведани Южный портал
(схема).

სურ. 4. შივედნის ღვთისმშობლის
ეკლესია. კედლის წვიბა დასავლეთ-
ით ფასადის ჩრდილო კვეთა კუბო-
ზეშ.

Перев. Богородицы
в с. Шиведани. Гладкая стена
в северной (штальной) части
западного фасада.





გეგმაში სამი მხრიდან სწორკუთხოვან ეკლესიას აღმოსავლეთ მხარეს (სამხრეთ-აღმოსავლეთ) სამი, გარეთ გამოსული ნახევარწრიული მოხაზულობის აფსიდა (სამხრეთ-აღმოსავლეთ) მივე აფსიდის კონქი და თალი ჩამონგრეულია.

შიგნიდან შენობის სიგრძეა 12,5 მ, სიგანე — 8 მ. იატაკი დაფარულია შამბნარით და მიწაში სანახევროდ ჩაფლული ლოდებით. შუაში, დაახლოებით იქ, სადაც სავარაუდებელია აღსავლის კარი, მიწა ერთ მეტრამდე ჩაღრმავებულია როგორც მიწისქვეშა სადგომის გადახურვის ჩაქცევის შემთხვევაში.

ტაძარში შემოსასვლელები განლაგებულია სამი მხრიდან ბრტყელ კედელთა სიმეტრიის ღერძებზე, მთლიანად შემორჩენილია მხოლოდ სამხრეთი კარის ქვის ზღერბლი, წირთხლები, ბალავარი და აგურის ტიმპანი, ჩრდილოეთი და დასავლეთი შემოსასვლელების ღიობთა თავდაპირველი მოხაზულობა თითქმის მთლიანად დარღვეულია: აგურით ნაგები თალი ჯერ კიდევ გააჩნია სამხრეთ და ჩრდილოეთ კარებს.

ეკლესიის კედლებში გაჭრილია რვა თაღოვანი სარკმელი: აღმოსავლეთ მხარეს სამი, სამივე აფსიდთა ღერძზე; ჩრდილოეთით და სამხრეთით ორი-ორი, კარის აქეთ-იქით (სუროს ხშირი საბურველის ქვეშ არ ჩანს გაჭრილია თუ არა სარკმლები ჯერის განივი მკლავების ბოლოში); დასავლეთით კი ერთი, კარის თავზე საკმაოდ მალა, ფრონტონის არეში (ამ სარკმლის ქვემოთ კედელი ვარღვეულია კარის ხვრელამდე და ძნელია მტკიცება იმისა, რომ დასავლეთ კედელში გაჭრილ სარკმელთა რაოდენობა ერთია და არა სამი — ორი კარის თავზე და მესამე მათ ზევით კედლის სიმეტრიის ღერძზე). დანარჩენი შვიდი სარკმელი თითქმის ერთ დონეზეა. სარკმლების ჰრილი კედლის დაახლოების 20 სმ-იან სისქეში შიგნიდან გარეთ ვიწროვდება (ასე 60 სმ-იდან 20 სმ. მდე). სარკმელთან სწორკუთხა ღიობის ზედა ნახევარწრიულ მოხაზულობას ქმნის კედლის რიყის ქვის წყობაში აგურით ამოყვანილი თალი. ამრიგად, შიდა სივრცეს ანათებდა კორპუსის რვა (შესაძლოა თორმეტი) სარკმელი, სამი შემოსასვლელი და აგრეთვე გუმბათის ყელის სარკმლები.

შენობის სამხრეთ-დასავლეთ და ჩრდილო-დასავლეთ შიგა კუთხეებში შემონახულია აგურით ნაგები კვადრატული (15×15) სმ კვეთის პილასტრები, რომლებიც შეესაბამება ასეთივე ზომის ორ ევრტიკალურ ბრტყელ შვერილს გვერდით აფსიდთა შემომფარგველ ნახევარცილინდრულ ზედაპირსა და მიმდებარე კედლის სიბრტყეს შორის. სამხრეთი კარის აღმოსავლეთ მხარეს რიყის ქვის კედელში ჩაშენებულია აგურის ოთხკუთხა (15×40) სმ კვეთის სვეტი. ამავე შემოსასვლელის დასავლეთით და სხვათა აქეთ-იქით კედლის სვეტები აღარ არის. მათ არსებობაზე მიუთითებს კედლებში მთელ სიმაღლეზე არსებული იგივე ზომის ოთხკუთხა ღარები. ამგვარად, სამხრეთ, დასავლეთ და ჩრდილოეთ კედელთა სიბრტყეებს წყვილწყვილად ანაწევრებდა ექვსი პილასტრი.

ჩრდილოეთ და სამხრეთ კედლის სვეტთა აღმოსავლეთი და დასავლეთი წყვილების შემარტებელ ზოლზე მიწაში ნაწილობრივ ჩაფლულია ქვის ორი-ორი კვადრატული ფილა ზედაპირის ზომებით — (60×60) სმ. ეს ფილები გუმბათქვეშა ბოძების ბაზისებს წარმოადგენს. მათი ბრტყელი ზედაპირები დამუშავებულია ვიწრო ღარით, რომელიც კვადრატული კონტურის სახით გარს უდის ზედაპირის ცენტრში არსებულ წრიულ (დაახლოებით 3 სმ დიამ-



მეტრის) ზერელს. ჩრდილო-აღმოსავლეთი ბაზისის ახლოს აგდია მეტრნახევარი სიგრძისა და კვადრატული (40×40) სმ კვების პრიზმულად გათლილი ქვამარტყენული ამ ქვის ფუძის ცენტრში ერთი ბოლოთი ჩასმულია (ასე, 3 სმ დიამეტრის) რკინის მრგვალი ღერო, რომლის მეორე ბოლო თავისუფალია, ეს ქვა უნდა წარმოადგენდეს გუმბათქვეშა ბოძის ფრაგმენტს. მაშასადამე, მოედნის ეკლესიის გუმბათი ეყრდნობოდა თავისუფლად მდგომ, კვადრატული კვების ოთხ ბურჯს, რომლებიც კამარათა საყრდენი თაღებით უკავშირდებოდა კედლის სვეტებს.

ტაძრის გარე სახეს ქმნის სამი ბრტყელი და ერთი შევრილ აფსიდებიანი ფსადი, სამხრეთი, დასავლეთი და ჩრდილოეთი სადა ფსადები კარ-სარკმელთა სიმეტრიული განლაგებით იწვევს სიმშვიდის განწყობილებას, ყურადღების გაწონასწორებას, აღშმის ერთფეროვნებას. აღმოსავლეთი ფსადი განსხვავებულია: იგი წარმოადგენს ჩრდილო-სამხრეთ ხაზზე გვერდიგვერდ განლაგებულ, ევრტიკალური ღერძის მქონე სამი ცილინდრული ნახევარზედაპირის ერთობლიობას; ამასთან შუა ზედაპირი განიერია დანარჩენ ორზე. ამდენად, აღმოსავლეთი ფსადის კანონიერი გამორჩეულობა მისი აგების დინამიურობაშია, რაც მიღწეულია ზედაპირის ევრტიკალური სწორხაზოვნების შერწყმით პორიზონტალის გასწვრივ სამხაგ არათანაბარ წრიულ გამრუდებასთან.

ჩრდილოეთის ფსადისაგან სამხრეთს განასხვავებს მხოლოდ შესასვლელის ქვის მოჩარჩოება (სურ. 3). ჩარჩოს ზედაპირი საკმაოდ შელახულია და, რაც მთავარია, სურათი დაფარული მისი ზედა ნაწილის ზეიარა მცენარისაგან გაწმენდას ყოველი ცდა ქვის ზედაპირის ჩამოფშვნას იწვევს. აგურის ტიპიანი შელესილია. შელესილობა აღმოსავლეთ ნაპირზე ჩამოშლილია. წირთხლებს ბალავარს და ტიპანს შეწყვილებულად გარს უვლის ჩარჩოს ბრტყელ ზედაპირზე ნაკვეთი მრგვალი ღარი და ლილევი. მათ ევრტიკალური უბნების შუაში ჯვრის განივი მქავეების მსგავსად აქვთ პორიზონტალური შევრილები, რომლებიც ეტყინება თითო განაპირა მსხვილ და გლუვ ლილევისებურ პილასტრს. ამ ორი კედლის სვეტის თავის თითქმის ძაბრისებური ზედაპირი შემყულია მცენარეული მოტივის ჩუქურთმით. ეს უკანასკნელი იმდენად გადაცრეცილია ქვის გამოფიტვის გამო, რომ მისი სქემის აღდგენა ძნელდება, პილასტრთა კაპიტელაბი შეწყვილებულია ლავგარდნით, რომლის ზედაპირი დამუშავებულია ორი წერილი გლუვი ლილევისა და მათ ქვემოთ განიერი მრგვალი ღარის სახით.

სარკმლების უმეტესობას შემორჩა მარტივი მოჩარჩოება: ქვის ბრტყელ, გლუვ ზედაპირზე ამოკვეთილია სარკმლის ღობის მოხაზულობის პარალელურად ერთი წერილი აგრეთვე გლუვი ლილევი. ჩარჩოს თაღის წვერში აქვს ორი წრიული სერელი, ალბათ გისოსებისათვის.

შენობის ქვის ცოკოლი სუსტად პროფილირებულია (თითქმის მხოლოდ მონიშნულია) ორი — ზედა ლილევისებური და ქვედა სწორკუთხა საფეხურის სახით. მიწის ზედაპირიდან მისი სიმაღლეა 20 სმ.

ნაგებობას კარნიზი შემონახული აქვს მხოლოდ სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეს, მისი ფრაგმენტი აგდია გარეთ, სამხრეთი შესასვლელის ახლოს. მოყვი-



თალო ქვისაგან გამოთლილ ლავგარდნს შეადგენს ორი ელემენტი: თარი და ქუსლი. ქუსლის ზედაპირი არ არის მოჩუქურთმებული.

ეკლესიის პერანგი არ შემორჩენილა. შიგნიდანაც და გარედანაც კედლის წყობა გამოშვლებულია და ჩანს საამშენებლო მასალა: რიყის ქვა, აგური და გათლილი რუხი ქვა ღია ნაცრისფერ საამშენებლო ხსნარზე. კედლები ნაგებია რიყის საკმაოდ მოზრდილი ქვებით დუღაბის სქელ ფენაზე. (რიყის ქვის საამშენებლო მასალად გამოყენება უთუოდ განაპირობა დიდი მდინარის სიახლოვემ).

წყობის პორიზონტალურობისათვის გამოყენებულია რიყისავე მცირე ზომის ქვები (სურ. 4). პილასტრები, შესასვლელებისა და სარკმლების თაღები ამოყვანილია აგურით (ზომა — (20X20X4) სმ³). ქვისაა ცოკოლი, კარნიზი, სამხრეთი კარისა და სარკმლების მოხარჩობება. გარედან შენობის ქვედა კუთხეები რიყის ქვის წყობაში შექმნილია ქვის კარგად გათლილი კვადრებით. საპიროა აღინიშნოს, რომ კარნიზის ქვა ფერთაც და ჭიშთაც განსხვავდება ნაგებობის საამშენებლო თანამასალად გამოყენებული რუხი ქვისაგან. ეს უკანასკნელი ქვაქვიშა უნდა იყოს, ხოლო ლავგარდნის ქვა — მოყვითალო ტუფი. ამიტომ შეიძლება ვიფიქროთ, რომ მოღწეული კარნიზი გვიანდელი აღდგენისაა.

მოედნის ეკლესიის შესახებ ისტორიული ცნობები ჭერ მოძიებული არ არის. ვახუშტი ბატონიშვილი გურიის აღწერისას არ ასახელებს მოედნის ეკლესიას ისევე, როგორც ბევრ სხვა ძეგლს,¹ არც საამშენებლო ან სხვა ხასიათის წარწერა არის შემჩნეული მის კედლებსა თუ სამხრეთი შესასვლელის მოხარჩობებაზე (შესაძლოა, მიწაში ჩაფლულ ქვებზე აღმოჩნდეს რაიმე წარწერის კვალი).

ტაძრის საკურთხევლის აფსიდის კონქში ღვთისმშობლის გამოსახულების არსებობა (XX ს. 50-იან წლებამდე ადგილობრივ მკვიდრთა ცნობით) და, განსაკუთრებით, ის ფაქტი, რომ მის ტერიტორიაზე ხალხი თითქმის გასაბჭოებამდე დღესასწაულობდა მარიობასა და ღვთისმშობლობას, მოუთითებს იმაზე, რომ მოედნის ეკლესია ღვთისმშობლის სახელობისა იყო.²

სოფლის უბრალო საყდრისათვის მოედნის ღვთისმშობლის ეკლესია საკმაოდ რთული ნაგებობაა. უმეტეს შემთხვევაში ხომ სოფლის ეკლესია ერთნაეიან, უგუძბათო, დარბაზულ შენობას წარმოადგენდა.³

ყურადღებას იქცევს მოედნის ეკლესიის გეგმა: ესაა ჭკარგუმბათოვანი შენობა სამი შეერილი მრგვალი აფსიდით აღმოსავლეთ მხარეს, გუმბათქვეშა ოთხი თავისუფლად მდგომი ბურჯით და შესასვლელთა განლაგებით ფასადთა სიმეტრიის ღერძებზე. ინტერესს იწვევს აგრეთვე სამხრეთი პორტალის თავისებური გაფორმება.

მოედნის ღვთისმშობლის ეკლესია გეგმით გარკვეულ მსგავსებას ამჟღავნებს ოზაანის (IX ს.)⁴, მოქვის (X ს.)⁵, ბიჭვინტის (X ს.)⁶, ლიხნის (X-IX სს.)⁶ და, განსაკუთრებით, თბილისის მეტეხის (XIII ს., მაგრამ ძველი გეგმის გამოვრებით)⁷ ტაძრებთან. ჩვენ ძეგლს ამ ნაგებობებთან, რომელთა უმეტესობა ღვთისმშობლის სახელობისაა⁸, საერთო აქვს აღმოსავლეთ ფასადში გამოვლენილი სამი მრგვალი აფსიდა (მხოლოდ მოქვის შუა აფსიდის გარე ზედაპირია წახნაგებიანი).



გამოწეულ აფსიდიანი (როგორც მრგვალი, ისე მრავალწახნაგა ზედაბო-
 რით) ტაძრები გვხვდება ადრეფეოდალური ხანიდან მოყოლებული.⁸ ამასთან
 უფრო მეტია მათი რაოდენობა დასავლეთ საქართველოში⁹, ეს შეინიშნება
 ზემოთ დასახელებულ ძეგლთა ჯგუფშიც, რომელთა დამათარილებელი ზედა
 ზღვარი არ აღემატება XI საუკუნეს. აღმოსავლეთი ფსადის გამორჩეულობის
 ასეთი ხასიათი XI საუკუნის შემდეგაც იჩენს თავს აღმოსავლეთით გამოწეუ-
 ლი სამი (უმეტესად მრავალწახნაგა) აფსიდის სახით როგორც დასავლეთ, ისე
 აღმოსავლეთ საქართველოს ძეგლებში: მაგალითად, გელათის მთავარი ტაძარ-
 ი (XII ს.)¹⁰, თბილისის სიონი¹⁰ (XII-XIII სს.)¹¹, ტიმოთესუბანი (XII-
 XIII სს.)¹², გელათის წმ. გიორგის სახ. (XIII-XIV სს.)¹² ოღონდ მათში გუმ-
 ბათის საყრდენებიდან თავისუფლად მდგომი ბოძი ორია.

მოედნის ეკლესიაში, მოქვის, ლიხნესა და თბილისის მეტეხის ანალოგიუ-
 რად, გუმბათი ეყრდნობოდა თავისუფლად მდგომ ოთხ ბურჯს, რაც გუმბათ-
 ქვეშა სივრცის „ადრინდელ, კლასიკურ ხუროთმოძღვრებაში შემუშავებულ და
 X-XI საუკუნეებშიც ფართოდ გავრცელებულ“⁷ გადაწყვეტას წარმოადგენს.

ოხანაა და ბიკინტაში გუმბათი ებჯინება ბემის შვერილებსა და ორ თა-
 ვისუფლად მდგომ ბოძს. ასეთი თემა ქართულ არქიტექტურაში შემუშავდა
 ჯერ კიდევ გარდამავალ პერიოდში¹³ და საქართველოს სხვადასხვა კუთხის
 ძეგლებში „გვქვს გემები გუმბათქვეშა როგორც ოთხი, ისე ორი თავისუფალი
 ბოძით, როგორც შვერილი აფსიდებით, ასევე მათ გარეშე“.⁵ მაგრამ „XI საუ-
 კუნიდან... უპირატესობა ენიჭება უფრო მახვილ, კონტრასტულ სივრცეს —
 ორსაბჯენიან ტაძარს, რომელიც XIII-XIV საუკუნეთა ხუროთმოძღვრებაში
 საყოველთაო ხდება და მას ხელშეუხებლად იცავენ ყველგან როგორც აღმო-
 სავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში ისეთ ძეგლებშიც კი, რომელთა აღმო-
 სავლეთი მხარის გადაწყვეტა არატიპური... არც XII-XIII და არც XIII-
 XIV საუკუნეები არ დაბრუნებია ოთხსაბჯენიან ჯვარგუმბათოვან სივრცეს“.⁷
 მაშასადამე, ტაძარი გეგმაში სამი შვერილი აფსიდიტ, მაგრამ გუმბათქვეშა
 ოთხი თავისუფლად მდგომი ბურჯით XII საუკუნეზე ადრინდელი უნდა იყოს.

ამას გარდა თბილისის მეტეხისა და ლიხნეს (უწართექსოდ) მსგავსად მო-
 ედნის ეკლესიაში ა) გუმბათქვეშა ოთხი თავისუფალი ბოძით შექმნილი კვა-
 დრატი არ მდებარეობს შენობის გეგმის (საქურთხველის აფსიდის ჩათვლით)
 შუაში; იგი გადაწეულია დასავლეთით. მაგრამ ჩრდილო და სამხრეთ ფსადთა
 სიმეტრიის ღერძებზე გაჭრილი შესასვლელები მდებარეობს განივი მკლავის
 სიმეტრიის ღერძზე. (ლიხნეში ეს შესასვლელები განივი მკლავის სიმეტრიის
 ღერძიდან რამდენადმე გადანაცვლებულია დასავლეთით, თუმცა ამ მკლავის
 არეში მონც რჩება). ამიტომ შიდა სივრცის მთლიანი აღქმა უთუოდ ხდებოდა
 ერთბაშად (როგორც ეს შეიმუშავა კლასიკური სტილის ხუროთმოძღვრებამ
 და ძალაში დარჩა X საუკუნეშიც) და არა თანდათან (რაც დამახასიათებელი
 ვახდა XI-XIV სს. ძეგლებისათვის შესასვლელთა დასავლეთით გადანაცვლე-
 ბისას)⁸. ბ) სუროს ფოთლებით შედარებით ნაკლებადაა შესუდრული და-
 სავლეთის ფსადის ზედასამკუთხა მოხაზულობა მიკვანიშნებს იმაზე, რომ
 შენობის კუთხის ნაწილების სიმაღლე თითქმის უტოლდებოდა გრძივი მკლავე-
 ბის ფონტონის ფუძის დონეს. მაშასადამე, კორპუსი ჯერის მკლავების არესა და
 კუთხის ნაწილებში მკვეთრად განსხვავებული სიმაღლის არ უნდა ყოფილიყო



და ამდენად მის შიდა სივრცეს არ ექნებოდა სრულადმომცველი მოცულობითი საფეხუროვნება, რომელიც ასე ნიშნდებოდა XII-XIII საუკუნეებში გუმბათიანი ტაძრებისათვის¹³.
 შიგლინიშნება

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ მოედნის ღვთისმშობლის ეკლესიის გეგმა ძველია, იგი X-XI საუკუნეებზე გვიანდელი არ უნდა იყოს.

თავდაპირველი შენობა ისტორიული ძეგლებდობის პირობებში დაქცეული შემდგომში თავიდან აგებული თუ აღდგენილი იქნებოდა იმ სახით, როგორც მან მოაღწია ჩვენი საუკუნის 50-იან წლებამდე.

შესაძლებელია სეგლის განმენდისა და შესწავლის დროს გამოვლინდეს ახალი (ორნამენტული თუ ეპიგრაფიკული) მასალა, ან მოძიებულ იქნეს წერილობითი საბუთები და მათ შექმნე შეფასდეს გამოთქმული მოსაზრება.

1. ვახუშტი — აღწერა სამეფოსა საქართველოსა, კართლის ცხოვრება, ტ. IV, 1973.
2. Привалова Е. — Роспись Тимотеусбани, Тб., 1980.
3. Беридзе В. — Некоторые аспекты грузинской купольной архитектуры, Тб., 1976.
4. Чубинашвили Г. — Архитектура Кахетии, Тб., 1959.
5. Беридзе В. — Архитектура Тао-Кларджети, Тб., 1981.
6. Шервашидзе Л. — Средневековая монументальная живопись в Абхазии, Тб., 1980.
7. ვ. ბერიძე, რ. მეფისაშვილი, ლ. რჩეულიშვილი, რ. შერლინგი — თბილისის მეტეხი, 1969.
8. Чубинашвили Г. — Великий Свон, ვნიშის მოაზრება, IX, 1940.
9. პ. ზაქარაია — ქართული ცენტრალურ-გუმბათოვანი არქიტექტურა, წ. 1 — 1975. წ. 2 — 1978. წ. 3 — 1981.
10. ვ. ბერიძე — თბილისის ზეროთომოდერული ძეგლები, ძეგლის მეგობარი, № 25, 1971.
11. კიპარიძე ტ. — ახლადგამოვლენილი მშენებლობის სიძველეთა ნაშთები თბილისის სიონში, ძეგლის მეგობარი, № 50, 1979.
12. R. Mepisashvili, W. Zinzadse — Die Kunst des alten Georgien, Leipzig, 1977.
13. ვ. ბერიძე — ძველი ქართული ზეროთომოდერება, 1974.

**დადიანების სასახლეზე გავრცელებული ზიოტური პროზის
გამომწვევი მცენარეები**

დადიანების სასახლე წარმოადგენს საქართველოში ძველი დროის საქალაქო მშენებლობისა და არქიტექტურის ერთ-ერთ უნიკალურ კომპლექსს. იგი მდებარეობს ქ. ზუგდიდის დასავლეთ ნაწილში. თვით ქ. ზუგდიდი გაშენებულია ოდიშის დაბლობზე, ზღვის დონიდან 210 მ სიმაღლეზე. ზუგდიდში არის ზღვის ნოტიო სუბტროპიკული ჰავა: კარვად გამოხატული მუსონური ხასიათის ქარები. ჰაერის წლიური ტემპერატურა საშუალოდ $+13.8^{\circ}\text{C}$ -ია; იანვრის საშუალო ტემპერატურა $+4.9^{\circ}\text{C}$; აგვისტოს საშუალო ტემპერატურა $+22.7^{\circ}\text{C}$; ხალეჭები 1620 მმ წელიწადში. აქეთი კარგი კლიმატური პირობები ხელს უწყობს მცენარეების ზრდა-განვითარებას.

XIX ს. 60-იან წლებში ომარ ფაშას სიუპატია გარნიზონმა დადიანების სასახლე ვაღაწვა და მასთან მიმდებარე ბოტანიკური ბაღი გაჩეხა. სოფიანებით ეკატერინე ქაეკავაძემ მიიწვია უცხოელი სპეციალისტები, აღადგენინა სამთავრო სასახლე და ბოტანიკური ბაღი. ხელახლა აშენდა სასახლე ნიკო დადიანისათვის. დადიანების სავაჭრეულო კარის ეკლესია აშენებულია 1830 წ. ეკატერინეს მიერ აშენებული დადიანების სასახლე ქვისაგან არის ნაგები. ფასადის კედლების გასწვრივ გასდევს გალავანი, რომელიც ფარგლავს უკანა ეზოს. გალავანში ჩართულია საბრძოლო ქონგურები. გალავანი, ისევე როგორც სასახლე, ქვისაგანაა ნაგები. იგი მთლიანადაა დაფარული ბიოტური პროზის გამოშვევი მცენარეებით. აღსანიშნავია, რომ სასახლის, მეორე სართულზე იზრდება ლეღვი, ფიჭვი, იფანი, იფანი, რომელიც ამოსულია ეკლესიის სახურავზე, 10 მ-დე სიმაღლისაა. განსაკუთრებით ბევრია და დიდ ფართობს ფარავს შემდეგი მცენარეები: სურო, უსურვაზი, ლეღვი, ბუჩქოვანი, ბალახოვანი მცენარეები, ხავსები, მლიერები. გალავნის ზედაპირზე მცენარეების ვანსახლება 100%-ს შეადგენს.

დადიანების სასახლეზე, გალავანზე, ეკლესიაზე, ნიკო დადიანის სასახლეზე აღებულ იქნა მცენარეების ნიმუშები ჰერბარიუმისათვის. გარკვეულია მათი სახეობები. რამაც გამოამჟღავნა 24 ოჯახის, 44 სახეობა. მოგვყავს მათი სია:

Phyllitis scolopendrium; *Asplenium trichomanes*; *A. ruta-muraria*; *Adeantum capillaris*; *Magnolia grandiflora*; *Ranunculus* sp.; *Morus nigra*; *Ficus carica*; *Stellaria media*; *Cheidonium majus*; *Viola* sp.; *Saxifraga subularia*; *Rubus* sp.; *Fragaria vesca*; *Potentilla reptans*; *Duchesnea indica*; *Rosa canina*; *Medicago lulinia*; *Trifolium pratense*; *Wistaria chinense*; *Atutilon theophrasti*; *Oxalis villosa*; *Acer pseudoplatanus*; *Parthenocissus tricuspidata*; *Hedera caucasigena*; *H. colchica*; *Fraxinus excelsior*; *Ligustrum vulgare*; *Calistegia silvatica*; *Symphytum grandiflorum*; *Galium tenusissimum*; *Sambucus ebulus*; *Galinsoga parviflora*; *Leucanthemum vulgare*; *Artemisia vulgaris*; *Taraxacum confusum*; *Crepis pulchra*; *Trifolium vulgare*; *Iarax muricata*; *Poa annua*; *P. trivialis*; *Festuca gigantea*; *Phitolacca americana*; *Begonia* sp.

1983 წლის განმავლობაში, დადიანების სასახლეზე, გალავანზე, ეკლესიაზე, ქიმიური საშუალებებით დამუშავდა მოზარდი მცენარეები, შესაბამისი მხამქიმოკატების (იხ. „ბუჩქის მეგობარი“ №№ 58, 62, 65). ს.წუშოები დასრულებულია და დადებითი შედეგია მიღებული, მაგრამ თუ დროზე

დადიანის სასახლე.
ჩრდ.-დასავლეთის კოშკი.

Дворец Дадяни.
Северо-Западная часть.



დადიანის სასახლე.
აღმოსავლეთი ნაწილი.

Дворец Дадяни.
Восточная часть.



არ გაცეთდა, არ დასრულდა გალავნის რესტავრაცია, ქიმიური ბრძოლის ღონისძიებები არ იძლევა გარანტიას იმისა რომ ნაგებობებზე არ აღმოცენდება ახალი მცენარეები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ა. მაყაშვილი — თბილისის მიდამოების ფლორა, I-II ტ. 1952 წ. თბილისი.
2. საქართველოს ფლორა — I-VIII ტ. პირველი გამოცემა, თბილისი.
3. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია: პირველი გამოცემა, IV ტ.
4. მ. პაჭკორია, ვიცნობდეთ კულტურის ძეგლებს, თბილისი 1975 წ.
5. ძეგლის შეგობარი №26 58; 62; 65.

საპარტოველოს ანტიკური ხანის ქალაქების წარმოქმნის
წინამძღვრები

(ქალაქი კასპი)

IX საუკუნის ქართული წერილობითი ძეგლი — მოქცევაჲ ქართლისაჲ“ აღექსანდრე მაკედონელის ქართლში ლაშქრობის აღწერისას მოგვითხრობს: „იხილნა ნათესავნი სასტიკნი ბუნთურქნი, მსხდომარენი მდინარესა ზედა მტყუარისა მიხუვეით. ოთხ ქალაქად, დაბნები შათი: ციხე დიდი სარკინისაჲ, უფლისციხე კასპისა, ურბნისი და ოძრახისი“.¹

მოცემული წყარო ქართლში ქალაქების არსებობას ადრეელისტიურ ხანაში მიუთითებს, ხოლო ქართლის ცხოვრება“ (XI ს), ამ ქალაქების წარმოქმნას რკინის ფართო ათვისების პერიოდში ჩამოყალიბებულად გვაფარულებდინებს.²

წერილი ეძღვნება ქალაქ კასპს, რომელიც თავისი არსებობის 2500 წელს ითვლის. იგი ჭეროვნად არ არის შესწავლილი სამამულო ისტორიოგრაფიული მეცნიერების მიერ. ამას განაპირობებს ერთის მხრივ, წერილობითი წყაროების სიმწირე და არა თანმიმდევრული მეცნიერული კვლევა-ძიება.

1979 წლის 6 აგვისტოს მიკვლევულ იქნა და შესწავლის პროცესშია კასპის გრანდიოზული ნაქალაქარი (მისი ფართობი 60 ჰექტარს აღწევს). გარდა აღნიშნული ძეგლისა, წერილის ავტორის მიერ მიკვლეულ იქნა 20-ზე მეტი სხვადასხვა ეპოქის პირველხარისხოვანი არქეოლოგიური ძეგლი, რომელთა შესახებ ჩვენ სწვა ნაშრომში ვისაუბრებთ. ამჯერად კი მკითხველის ყურადღებას გავამახვილებთ კასპის ლოკალიზაციაზე. ამასთანავე შევეცდებით განვმარტოთ კასპის პოლიტიკური ერთეულისა და ამ ქალაქის წარმოქმნის წინამძღვრები.


პრობლემის არსის გაგებაში, ჩვენ ძირითად ამოსავალს — ქვეყნის (კასპის) ეკონომიკურ მხარეს ვეშყარებით და პირველ რიგში განვიხილავთ კასპის საირიგაციო სისტემებს.

კასპის პირველი სარწყავი არხი სათავეს მდ. ლეხურიდან იღებს, გვიანდევოდალური ხანის თვალსაჩინო ძეგლის, გზირიანთ წისქვილიდან ჩრდილოეთით 2 კმ-ზე. ამ არხით გასარწყავებულია მდ. ლეხურას მარჯვენა მხარე, კოწახურას ზევამდე. წყალი რუსხმულით შემოუვლის კასპის გორას, შემდეგ გადის შილხანანთ და ლეგას ვენახების თავზე, აქედან კი „ნაქალაქარის“ ტერიტორიაზე გავლით ჩაედინება კოწახურას ხევიში (არხის სიგრძეა 8 კმ., სიგანე 1,50 მ., სიშლარე 5 ნაკადელი). გასარწყავებული ტერიტორია მდ. ლეხურას მარჯვენა ნაპირიდან — დასავლეთით კოწახურას ხევამდე ერთიანდება კასპის ერთ სარწყავ სისტემაში. შენიშნულია, რომ ეს არხი ადრე გზირიანთ წისქვილის დასავლეთით, იგივე-კასპის საავტომობილო გზის ადგილზე 2-3 მეტრით მაღლა გადიოდა; გავივლიდა რა თვედორეს ეკლესიის ძირში, გასარწყავების არეალში მოაქცევა დაღვეანდელ კასპის I საშ. სკოლას, და მის ქვემოთ მდებარე მიწებს. ამ არხის არსებობას დამოწმებული ტოპონიმი „ნარუალი“ მიუთითებს.

„ნარუალი“, „ზატის მუხა“, „ახტალა“ და სხვა ცნობები მოგვაწოდა ქ.

კასპის ნაქალაქარი (არქ.
ბ. ასაბაშვილი).

Городище Каспи.
(Арх. Б. Асабашвили).



კასპის მკვიდრმა, გზირიანთ წისკელის „დოლაბმა“ — გრიგოლ (ლაბუა) შალვას ძე ნონიაშვილმა, რისთვისაც უღრმეს მადლობას მოვასხენებ.

კასპის მეორე არხიც, ასევე მდ. ლეხურიდან გამოდის. მისგან ირწყვება ლეხურას მარცხენა სანაპირო — წითლობის, ნათლისმცემლის, „ხატის მუხის“, ქეჩორუხისა და ვარჯაანის ტერიტორიები. არხის წყალი ვადის ადგილ „აბტალაზე“, ალაიანის გადასასვლელის სწორზე ხევში და უერთდება მდინარე მტკვარს, ამ არხით შემოსაზღვრული მიწები მდინარე ლეხურას აღმოსავლეთით, ალაიანის გადასასვლელის სწორზე, ხევამდე ერთიანდება კასპის მეორე სარწყავ სისტემაში. (არხის სიგრძეა 10 კმ., სიგანე 1,60 მ., სიმაღლე 6 ნაკადელი). კასპი გარდა ზემოაღნიშნული ფართობებისა ფლობს კასპის, გორის, ჩრდილო-დასავლეთ მხარეს. იგი ზეგანს წარმოადგენს და ქმნის ზაფხულის საძოვრისა და ხორბლეულის მოყვანისათვის ხელსაყრელ პირობებს.

კასპის დასავლეთი საზღვრის შესახებ ვახუშტი ბატონიშვილი გადმოგვცემს შემდეგს: „ველად კასპის დასავლეთით მინდორი მტკვარსა და კვერნაქს შუა არს ამურიანი, უწყლობით უნაყოფო, უფლისციხემდე, არამედ ზამთარს ბალახიანი და იზრდების ცხოვართა, რემათა და მროწყელთა სიმრავლე და თბილი ზამთარი“. აღმოსავლეთ საზღვარს კი ასე განსაზღვრავს: „ციხისძირის დასავლეთ ქსანს იქით, ატყდების მთა თხოთისა, რომელსა ზედა მოიქცა მეფე მირიან ქრისტიანედ. აწცა არს მუნ ნიში ჯვრისა, რომელი აღმართა ნინომ, სვეტისაგან გამოკვეთილი. ამ მთის მობმით მთა წლევისა წარავას გორამდე. ამ მთათა სამხრეთ არს, მტკვარამდე და კასპამდე ქსნიდამ, მინდორი ალაიანისა,



უწყლო. უნაყოფო. გარნა ბალახიანი და ზამთარს მზრდელი ცხოვაროპროდუქტების
კოვთა (ვახუშტი 63).

ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით კასპის აღმოსავლეთი საზღვარი ქსნიდან
კასპამდე ალაიანის მიწდორია, ხოლო დასავლეთით აშურიანის ველი, ჩვენს
მიერ აღწერილი კასპის პირველ და მეორე სარწყავ სისტემაში გაერთიანებული
ტერიტორიები სრულად შეესატყვისება ვახუშტი ბატონიშვილისეულ კასპის
ტერიტორიულ განსაზღვრას. საგულისხმოა, რომ ამ ფართობს მტკვრის მარჯ-
ვენა სანაპიროს (გალმა მხარის) მოსახლეობა კასპს უწოდებს. აქვე უნდა დავ-
ბინოთ, რომ სარწყავი სისტემებით, შემოსაზღვრული, ცოცხალ მეტყველებაში
შემორჩენილი და ვახუშტი ბატონიშვილისეული კასპის ტერიტორიის განსა-
ზღვრა შეესატყვისება „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ერთ-ერთ ცნობას, კერძოდ,
როდესაც წმინდა ნინო ეუბნება მირიანს: „განაელენენით კაცნი... დასავლეთით
3-ე ნიაღვეედეს სამეფოი შ—ნი. ვარსკელაი იგი. აღიმალა მიიწია მთა-
თა ზედა თხოთისასათა, გარდასავალსა კასპისასა“. წყაროებში დაცული ცნობა
„გარდასავალი“ სამეცნიერო ლიტერატურაში დღევანდელ „ალაიანის გადასა-
სვლელთან“ არის დაკავშირებული, ე. ი. საზღვარი კასპის პოლიტიკური ერ-
თეულისად მცხეთის ქვეყნისაგან.⁴

აქვე შევნიშნავთ ერთ გარემოებას: რას უნდა გვაუწყებდეს თხოთის
მთაზე წმ. ნინოს საყდრის არსებობა ან თუნდაც „აწცა არს მუნ ნიში გვარისა,
რომელი აღმართა ნინომ“ (ვახუშტი 63). ეს ადგილი ალაიანის გადასასვლელი-
დან აღმოსავლეთით 4 კმ-ზე მდებარეობს. ისიც უნავიროს წარმოადგენს. სა-
ყდრის სამხრეთ დასავლეთ მხარეზე ძველი ნაგზაურია. „მოქცევაჲს“ (გვ. 134-
135). და „ქართლის ცხოვრების“ (109) ცნობებში მირიან მეფის ქრისტეანად
მოქცევის შესახებ წმ. ნინოს საყდრის ადგილზე და ვინემდე აღწევდეს სამე-
ფოა შენი, შესაძლოა იყოს კასპის პოლიტიკური ერთეულის გამოყოფი მცხე-
თის ქვეყნისაგან.

ტრადიციულად, ალაიანის გადასასვლელის სწორზე, ზევსა და წმ. ნინოს
საყდარს შორის მოქცეულ მიწებს მტკვრამდე საძოვრად და საქონლის გამო-
სახამთრებლად იყენებდნენ კავთისხეველები. ფონით (არსებობდა კავთისხევის
რკინიგზის სადგურთან) საქონელს შეცურებით გაიყვანდნენ, შემდეგ მდ.
მტკვრის მარცხენა ნაპირზე გაატარებდნენ და როდესაც გადალახავდნენ ალა-
იანის სწორზე არსებულ ზევს, გაშლიდნენ საძოვრად, აღნიშნული მიწების გა-
მოყენებაში კავთისხეველები საბალახო გადასახადს უზდიდნენ კასპელებს
(ნატურით).

ანალოგიური ვითარება შეინიშნება კასპის დასავლეთ მხარეზეც, კერ-
ძოდ კასპი აშურიანის ველისაგან გამოქცეულია კოწახურას ხევით და „საზღვა-
რა გორათი“. აქედან დასავლეთით მდებარე მიწები, მდ. თემის შესართავამ-
დე (უერთდება მტკვარს) ტრადიციულად ეკავთ მდ. თემის მარჯვენა ნაპირის
მოსახლეობას. ისინიც ამ მიწების გამოყენებაში გადასახადს ნატურით უზდი-
დნენ კასპელებს. წერილობითი წყაროებით, სარწყავი სისტემებითა და ცოც-
ხალ მეტყველებაში შემორჩენილი ტრადიციით დასავლეთ მხარეზე კოწახუ-
რას ხევი, აღმოსავლეთ მხარეზე ალაიანის გადასასვლელის სწორზე ზევს შო-
რის ტერიტორია, წარმოადგენდა ქალაქ კასპს. ამასთანავე კასპი იურიდიული
პირია დასავლეთ მხარეზე კოწახურას ხვიდან მდინარე თემის (მტკვართან



შესართავ:მდე), ხოლო აღმოსავლეთ მხარეზე აღიანის გადასასვლელზე, მდ. ნინოს საყდარს შორის მოქცეული ადგილები კასპის პოლიტიკურ უწყის საზღვრების შესაძლო გამოძახილად მიგვაჩნია ადრეელინისტურ ხანაში. კასპის ვაკე ადგილების გამოყენება სასოფლო-სამეურნეო კულტურების გაშენებისათვის მოითხოვდა სარწყავ-საირიგაციო სისტემების აუცილებლობას. მის შექმნას მიწათმოქმედი მოსახლეობის გაჩენიდან ვარაუდობენ.⁵ დავებნთ ერთ გარემოებას, კასპის, ტერიტორიაზე გვიანბრინჯაო-ადრერკინის სამაროვნები. კასპის⁶ შილხანანთ ვენახების, კასპის ცემენტ-შიფერის კომბინატის (მდ. ლეხურას მარჯვენა მხარე), ქეჩორუბი პირველი, ქეჩორუბი მეორე, მდ. ლეხურას მარცხენა მხარე (გამოვლენილია და ნაწილობრივ შესწავლილი წერილის ავტორის მიერ) სტრატეგრაფიულად სარწყავი არხების ქვემოთ მდებარეობს და სარწყავ ზონაშია მოქცეული.

ანტიკურ ხანაში არსებული ქალაქები, მანამდე ძლიერი სამოსახლოები იყვნენ. ძველი პუნქტების გააღწერებისა და გაქალაქების ერთ-ერთ ფაქტორად მძლავრი მიწათმოქმედებაა მიჩნეული, რომელიც სათანადო ღონისძიებით (საირიგაციო სისტემები, ტერასები და სხვ.) არის ინტენსიფიცირებული.⁷ ისმის კითხვა, რატომ არ წარმოიქმნა ქალაქები შიდა ქართლის გაღმა მხარეში (მტკვრის მარჯვენა სანაპირო) ან წლევ-თხოთის მთის ჩრდილოეთ მხარეზე? მტკვრის მარჯვენა მხარეზე გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში ფუნქციონირებდა მთელი წყება საირიგაციო სისტემების: ხეკორძელას, ნიჩბურას, კავთურას, ნოსტურას, თემისა და სხვა. სარწყავი სისტემების ქსელით იყო განპირობებული გორანამოსხლართა სიჭარბეც. მტკვრის მარცხენა მხარესთან შედარებით (მხედველობაში გვაქვს ის ადგილები, სადაც გახლავებული იყო ქართული წერილობითი წყაროებით ძველი ქალაქები — სარკინე, კასპი, უფლისციხე), მტკვრის მარჯვენა მხარეზე აქ არსებულ გორანამოსხლართან ერთად თელაშისაცემია ნოსტეს, კავთისხევის ცემენტის კარიერის თავზე აღმართული გორის, თელათგორის, ქალის ქედის გრანდიოზულობაც.⁸ შიდა ქართლის გაღმა მხარეში, გვიანბრინჯაო — ადრერკინის ხანაში გვაქვს საირიგაციო სისტემები, მძლავრი გორანამოსხლარები, გორის გარშემო ჩამოყალიბებული დასახლებანი, ტყის მასივები, საძოვრები და სხვ. მაგრამ მიწათმოქმედება, ჩანს, საქმარისი საფუძველი არ აღმოჩნდა მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე ქალაქების წარმოქმნისათვის. მხედველობაში გვაქვს ნოსტეს დიდი გორა-ნამოსახლარი, რომელსაც აქვს სარწყავი სისტემა, სასოფლო სამეურნეო სავარგულეები, ასევე თიქმის ციხიანგორას, თელათგორისა და დღეს უკვე არქეოლოგიურად შესწავლილი მოცემული ეპოქის გრანდიოზული ნამოსახლარი თეოლიგორეების შესახებ, რომელთაც მრავალგზის უკეთესი პირობები გააჩნდათ კასპი, — უფლისციხის ეკონომიურ რაიონთან შედარებით.

მტკვრის მარჯვენა მხარეზე, რკინის ფართო ათვისების უკანასკნელი საფეხურიდან ანტიკურ ხანაში გარდამავალი ძეგლებიც არის შესწავლილი. მხედველობაში გვაქვს სამადლო III⁹, ციხიანგორა IV და მისი თანადროული ნამოსახლარის II ფენა,¹⁰ რომლებიც სიკოცხლეს აგრძელებენ ელინისტურ ხანაში, მაგრამ ისინი ქალაქებად ვერ განვითარდნენ, მიწათმოქმედება, თუნდაც მძლავრი, არამც თუ საფუძველი, როგორც ჩანს აფერხებს კიდევ ქალაქებისა და საქალაქო ცხოვრების განვითარებას. ნ. ბერძენიშვილის აზრით



ხევში ჩასახული ახალი ურთიერთობანი ვერ ღრმავდება ხელისშემშლელი პირობების გამო: როგორცაა ეკონომიური სარბიელის შეზღუდულობა, მეტა-მეთა თავისუფლებისა და თანასწორობის ტრადიციები, საერთო ლაშქარი, სავაჭარეულო ხატ-სალოცავები და სხვ.¹¹

მოსაზრება იმისა, რომ ქალაქები (სარკინე, კასპი, უფლისციხე, ურზნისი) წარმოიშვა საქართველოს ტერიტორიაზე საერთაშორისო სავაჭრო-სატრანზიტო გზის (დიდი გზა ინდოეთიდან შავი ზღვისკენ) გავლის შედეგად, საეჭვოდ მიგვაჩნია. თრელიგორეები, როგორც აღენიშნეთ, გვიანბრინჯაო ადრერკინის ხანის ზემოდავრი დასახლება (ნამოსახლარის სიგრძე 1,500 მეტრს აღწევს, თბილისი, I. 1980, გვ. 12), აქვს მძლავრი სამიწათმოქმედო რაიონი, სარწყავი სისტემების ქსელი, საძოვრები, ტყის მასივი; იმყოფება მდინარე მტკვრის სიახლოვეს, მასზე გადიოდა, როგორც ადგილობრივი ისე დიდი სავაჭრო-სატრანზიტო გზა. მაგრამ თრელიგორეები მაინც ვერ ჩამოყალიბდა ქალაქად. ამდენად მიწათმოქმედება, გზა, მდ. მტკვარი — წამყვანი ფაქტორი ანტიკური ხანის ქართული ქალაქების წარმოქმნისათვის საკმარისი არ არის, ასევე ითქმის დღევანდელ წლეუ-თხოთის მთის ჩრდილოეთით მდებარე რაიონზეც. აქაც ბევრად უფრო ხელსაყრელი პირობები გაჩნდა კასპი — უფლისციხის რაიონთან შედარებით. მიწათმოქმედებისა და სავაჭრო გზის გავლაც აქ უფრო ადვილი დასაძლვეი იყო.

მაშ, რამ განაპირობა ქალაქების (კასპი, უფლისციხე) შიდა ქართლის თითქმის ყველაზე უნაყოფო ადგილებზე წარმოშობა?

გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში მმართველობის სისტემას ხევი წარმოადგენდა. მიწათმოქმედებისათვის გამოსაყენებელი სავარგულები, საძოვრები, ტყე, სარწყავი სისტემები ხევის (თემის) საერთო საკუთრებას წარმოადგენდა, ასეთივე მდგომარეობაა კასპშიც, აქაც დასახლების ტიპი გორანამოსახლარია. ისიც ბატონობს ხევზე, როგორც გეოგრაფიულ ერთეულზე, ემყარება მიწათმოქმედების ბაზისს, მაგრამ ისევე, როგორც ყოველი ხევი, სათესი მიწები, საძოვრები, სარწყავი არხები ერთიანდება ერთ ეკონომიურ ფაქტორში და აწარმოებს პროდუქციას იმ რაოდენობით, რამდენსაც თემის საარსებო საშუალება ითვალისწინებს, ვიდრე ურთიერთობა გარე სამყაროსთან თემებს შორის არ შექმნის ქონებრივ განსხვავებას (ფ. ენგელსი, ანტიდიურიცი, 1952, გვ. 176).

კასპი, ისევე როგორც სხვა ხევეები, გვიანბრინჯაო ადრერკინის ხანაში ემყარებოდა შერეულ მეურნეობას, მიწათმოქმედებას და მესაქონლეობას. აღნიშნული შიდა ეკონომიური საფუძველი ერთ ფაქტორში ერთიანდება და იგი არ შეიძლებოდა გამსდარიყო ქალაქისა და მითუმეტეს, კასპის პოლიტიკური ერთეულის წარმოშობის ფაქტორი. ამ მიმართებით მთავარი როლი კასპის ეკოლოგიურ მომენტს უნდა დაეკისროს. კერძოდ, მდინარე მტკვარისა და წლეუ-თხოთის ქედს შორის მოქცეულ ტყართობებს „ზამთარ ბალახიანი და იზრდება ცხვართა, რემათა და მროწყელთა სიმრავლე და თბილი ზამთარი“ (ვახუშტი 72). ეს ეკოლოგიური ნიშანი, საქონლის გამოსახვამთრებელი მზვარე ადგილი, სადაც თოვლი სწრაფად დნება ნიადაგის ფარილშემცველობის გამო შენიშნული იქნებოდა მეზობელი ხევეების კავთურას, თემის, ლენტურას, ოკამის, აღაიანის მოსახლეობისათვის. კასპის ადრეელისისტური ხანის ქალაქის



წარმოქმნას წინ უსწრებდა ქვეყნის ფიზიკურ-გეოგრაფიული და ეკოლოგიური პირობები და მის ბაზაზე წარმოქმნილი საზოგადოების სოციალურ-ეკონომიური ურთიერთობანი.

ამდენად, კასპი როგორც პოლიტიკური ცენტრი გვიანბრინჯაო აღრერკინის ხანაში უნდა ჩამოყალიბებულყო ზემოაღნიშნული ზეგების ეკონომიკურ საფუძველზე. კასპის ჩვენიველი დაკვირვება სრულ შესატყვისობაშია ვახუშტი ბატონიშვილისეულ ამურიანის ველის კლიმატურ-ეკოლოგიურ დახასიათებასთან. ზემოაღნიშნული ზეგების მესაქონლეთა კონცენტრაციას კასპის ველზე ხელი უნდა შეეწყო თავდაპირველი სასაქონლო-პროდუქტის წარმოქმნისათვის (საქონლისგაცვლას). შეიქმნა ზედმეტი პროდუქტის დაგროვების ტენდენცია, მისი სასაქონლო პროდუქტად გადაქცევის პირობები, რამაც განაპირობა კასპში ბაზრის ინსტიტუტის ჩანასახი. რამდენადაც კასპელები (კასპის თემი), როგორც მითითებული მიწების მფლობელი და იურიდიული პირი, არგულირებდა თემის შიგნით, ისე მეზობელ თემებთან საძოვრების გამოყოფას, მათ ხელშივე აღმოჩნდა ვაჭრობისა და ბაზრის ინსტიტუტის წარმართავე. აქვე უნდა ჩასახულიყო იმ დროისათვის აუცილებელი ხელოსნური წარმოებაც. ძველი, პირველყოფილი ბუნებრივად აღმოცენებული თემები შეიძლება ათასი წლები არსებობდნენ, სადაც სახანეო და საძოვრები მუშავდება თემის საერთო ძალებით კოოპერაციით ან ცალკე ოჯახების მეშვეობით, რომელსაც თემი პერიოდულად უნაწილებდა, შეიქმნა ურთიერთობა გარე ქვეყნიერებასთან (აბორიგენულ საწყისზე), რამაც თემებს შიგნით შექმნა ქონებრივი განსხვავება, მათი და მეზობელი თემების პოლიტიკურ-ეკონომიური ცენტრის ჩამოყალიბებისა და შემდგომი განვითარებისათვის ახალი პირობები.

1. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I თბ., 1964, გვ. 81. ქვემოთ ტექსტში „მოქცევა“.
2. ქართლია ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ვეველი ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ვახუშტის მიერ, I, თბ., 1955 გვ. 10, შემდეგ ტექსტში (ქ).
2. ვახუშტი ბატონიშვილი აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941, გვ. 72. შემდეგ ტექსტში (ვახუშტი).
4. იხ. ვრცლად დ. მესხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები I თბ., 1977, გვ. 51-53.
5. ი. კვიციანი, მირწყვა ძველი საქართველოში, თბ., 1968, გვ. 48.
6. შ. ბარბაქაძე, კასპის სამართავანი. მასალები საქართველოს კავკასიის არქეოლოგიისათვის, თბ., 1965, გვ. 15-29.
7. ლ. კლაშვილი, ქალაქები ფეოდალურ საქართველოში, თბ., 1968, გვ. 40-66.
8. „კლისი ველი“. გორანაშოსახლარი მდებარეობს სოფ. ერთაწმინდაში, მის დასავლეთ მხარეს მასზე იკითვება აღრებრინჯაოსა და გვიანბრინჯაოს აღრული ეტაპისა და რკინის ფართო თვისების ხანის კერამიკა. ძველი მიკლეულია გ. ელისაბედაშვილის, ა. ნუცუბიძის და ჯ. გვეტაძის მიერ.
9. Ю. Гагонидзе. Самалло, Т6., 1980.
10. ჯ. გვეტაძე, წითელკეციანი კვამიკის გაჩენის შესახებ საქართველოში საისტორიო კრებულ V III, თბ., 1977, გვ. 314-315.
11. ნ. ბუაჩინიშვილი, ერთი ფურცელი ისტორიულ-გეოგრაფიის დღიურიდან. საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიის კრებული, ტ. 1, თბ., 1960, გვ. 181-182.

ბარონ „ციხეს“ შესახებ

ცნობილია, რომ „ციხე“ (სიმაგრე, თავშესაფარი) საზოგადოებას თან ახლავს მისი არსებობის მთელ მანძილზე¹. იგი, როგორც ობიექტი, წარმოიშვა მაშინ, როდესაც გარკვეულ დრომდე უზრუნველად მცხოვრებ ადამიანს სრულიად ახალი საზრუნავი-თავდაცვა გაუჩნდა. ეს დაკავშირებული იყო კაცობრიობის ისტორიაში მომხდარ დიდ გარდატეხასთან, რაც ამ ოთხი ათასი წლის წინათ პირველყოფილი თემური წყობის რღვევას მოჰყვა: მეზობელი გვარ-ტომების ქონებისა და ტერიტორიების მიტაცება, შემდეგ კი ნამდვილი ომები, ამ გარდატეხის შედეგად წარმოშობილი მონათმფლობელობისა და ფეოდალების შემოსავლის ჩვეულებრივ წყაროდ იქცა. გასაგებია, რომ თვითონ ტერმინი „ციხეც“ ასევე არსებობის მრავალ საფეხუნეს ითვლის. სწორედ ამიტომ მწელია თვალი ვაღვენვით ამ ტერმინის ჩასახვა-ჩამოყალიბების ხანგრძლივ პროცესს, თუმცა მისი ზოგიერთი მომენტის გასაშუქებლად გარკვეული საფუძველი მაინც არსებობს. შემოსევებისას დაწიოკებული ჩვენი შორეული წინაპრები, რომლებსაც გარკვეული წარმოდგენა არ ჰქონდათ საიმედო თავშესაფრების აგების საქმეზე, თავის გადასარჩენად უღრან ტყეებსა და მღვიმე-გამოქვაბულებს მიმართავდნენ. ასეთი მშანზარეული საფრები შეტწილად მიუვალ მთიანეთსა და ტყიან ადგილებში არსებობდა და მას წარმატებით იყენებდნენ არა მარტო პრეისტორიულ, არამედ ისტორიულ ხანებშიც: „კახეთი ტყე იყო და მიუვალი მტრისა მიერ“² (IV ს.). მერეც ყრუს შემოსევებისას (VIII ს.) „ყოველნი მთავარნი და პიტახანნი... შეიმოკტნეს კავკასიად და დაიძალნენ ტყეთა და ღრეთა“, თავდასხმებს გადაურჩნენ „რომელმე ტყეთა დაიძალნეს და რომელნიმე (კინც ასეთი ვერ მოახერხა, ი. შ.) მოისრნეს“³. მღვიმე-გამოქვაბულებით თემურლენგის შემოსევების დროსაც (XIV ს) სარგებლობდა ჩვენი მოსახლეობა: თემურლენგის მეომრები „როგორც კვემო ქართლში, აქაც (დასავლეთ საქართველოში, ი. შ.) დაეროენენ მღვიმე-გამოქვაბულებში შეფარებულ ხალხს“⁴.

ამ გარემოებიდან გამომდინარე, დასაშვებად მიგვაჩნია ვარაუდი, რომ ციხის (თავშესაფრის) აღმნიშვნელი უძველესი ქართული ტერმინის ფესვები უფრო ჩვენს მთიან ადგილებშია საგულეველი.

მაგალითად, ჩვენი მიზნისათვის გარკვეულ ინტერესს აღძრავს ის ფაქტიც, რომ მთიულეთში დიდ გამოქვაბულს „თიხა“ ეწოდება⁵.

არანაკლებ საგულისხმოა, რომ ზემოიმერეთში უმარტივესად შემოზღუდულ ადგილს, ფარებს რომ ვუწოდებთ, „ჩიხი“ ეწოდება⁶.

გამორიცხული არ უნდა იყოს, რომ ეს „ჩიხი“, რომელიც თავისი არსით „ფარეხს“ უდრის, უკავშირდებოდეს გამოქვაბულის აღმნიშვნელ მეორე ძველ ქართულ ტერმინს „პარეხს“⁷.

„თიხა“ და „ჩიხი“ როგორც ფონეტიკურად ისე სემანტიკურად შორს არ დგანან მეგრული „ჩიხა“-დან („ციხე“).

„ჩიხა“-ი გვხვდება ნაციხარებზე დაფუძნებული დასახლებების სახელწოდებებში: ჩიხა (საჩხერის რაიონში), ჩიხარეში (ლენტეხის რაიონში), ჩიხორი (თერჯოლის რაიონში). ასევე ნაციხარებზეა დაფუძნებული ახლანდელი დასახლებებიც, რომელთა სახელწოდებებში „ჩიხა“ შედის; ჩიხუ (ზობის რაიონში) ჩიხა



(ცხაკიას რაიონში), ჭიხის კარი (ზუგდიდის რაიონში), ჭიხანჯირი (ლანჩხუთის რაიონში). ხეობისხეობიდან შესაძლებელია დავასკვნათ, რომ აგრეთვე „ციხე“-ს წარმოქმნაში მონაწილეობა აქვს მიღებული პრეისტორიულ „დიდი გამოქვაბული“, ჩიხა-ს (ფარეხი) და ჭიხა-ს.

ამ ვითარებასთან დაკავშირებით კიდევ ერთი შენიშვნა გვაქვს. თანამედროვე თურქულში თავშესაფარს ტერმინი „სილინაკ“-ით აღნიშნავენ, რომლის საფუძველში უეჭველია „ცილინაკ“-ი ძეგს, თურქულში ბგერა „ც“-ანი ბგერა „ს“-ანით არის შეცვლილი.

გამორიცხული არ არის, რომ ეს „ცილ“-ინაკი იმთავითვე დაკავშირებული იყო უძველეს ქართულ ტერმინ „ციხე“-სთან, რაც თავის მხრივ „თიხა“-დან („ჩიხი“, „ჭიხა“) მომდინარეობს.

როდის და რა გზით შეიძლება შესულიყო თურქულში ეს ქართული წარმომავლობის „ციხე“. აღბათ ისეთივე გზითა და წესით, როგორითაც არაბული „კალაა“ შესული თურქულში.

ენობილია, რომ ახლანდელი მცირე აზიის ტერიტორიაზე, კერძოდ მის აღმოსავლეთ ნაწილში და, რა თქმა უნდა, სამხრეთ ამიერკავკასიაშიც, თითქმის ორი ათასი წლის წინ. სანამ აქ მომთაბარე თურქები მოზღვავედებოდნენ (XI—XII სს),⁹ მძლავრ სახელმწიფოებრივ გაერთიანებებში შემაველი ქართველური ტომები იყვნენ დამკვიდრებული, რომლებმაც უკვე გაითქვეს სახელი, არა მარტო ლითონის დამუშავების ხელოვნებით, არამედ, მშენებლობის (არქიტექტურის) მრავალსაუფუნოვანი ტრადიციებითაც, თურქული არქიტექტურა კი, რომელიც მათი ერთ ადგილზე დამკვიდრების (XIV ს.) პროცესთან ერთად ჩაიხახა, თავიდანვე ვითარდებოდა მეზობელი და მათ მიერ დამორჩილებული ხალხების, მათ შორის ქართული კულტურის ბაზაზე¹⁰. ამასთან დაკავშირებით გახსენების ღირსია ის ფაქტი, რომ თურქულ ენაზე მოლაპარაკე ხალხებს უცვლელად აქვთ შეთვისებული, მაგალითად, წმინდა ქართული წარმოშობის ტერმინი „სახლი“.¹¹

აქვე მოვიტანთ აკად. ნ. ბერძენიშვილ-ს ერთ დებულებას იმის შესახებ, რომ „ნიშანდობლივ ციხე... იგივე იყო, რაც ქვაბი (გამოქვაბული ი. შ.), გორა, სახლი“.¹² ციხისა და სახლის არსთა ერთ ტერმინში შერწყმის მაგალითად, ეფიქრობთ, გამოგვაღებება შეყაყაყიანი ძელური სახლის ზემოიშვრული სახელწოდება „ჭიხური“,¹³ რაც შემდგომში გაჩენილი საერთო ქართული ტერმინის — „ციხე-სახლი“ წინამორბედად შეიძლება მივიჩნიოთ.

1. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, I, 1964, გვ. 257.
2. ქართლის მცოდნეობა, I, 1955, გვ. 200. 3. იქვე, გვ. 234.
4. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, III, 1979, გვ. 710.
5. ლ. კაიშაძე, შიშველტრის დარგობრივი ლექსიკა, 1967; ქართულ კოლო-თქმითა სიტყვის კონა (შემდგენელი ალ. ლლონტი), მეორე გამოცემა, 1984, გვ. 250.
6. ვ. ბერიძე, სიტყვის კონა იმერელ და რაჭელ თქმითა, 1912 წ.
7. „საბასელხან ორბელიანი: „პარეხი-კლდე გამოქვაბული“, გიორგი შერძელე, შრომა და შიშველტრის წმინდისა და ნეტარისა მამისა ჩვენისა გრიგოლის (ჩვენი სიტყვა, I, 1960, გვ. 173): „სამთად მოქდა დიდი მუდამნივ მიქელ მამა, რომელიც დამკვიდრდა პარეხთა“.
8. ლ. შიშველი, ქალაქები ფეოდალურ საქართველოში, I, 1968, გვ. 52 („კალა“ არაბულია და ნიშნავს ციხეს). 9. Всемирная история, III, 1957, стр. 734—735.
10. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, V, 1980, გვ. 17.
11. Советский энциклопедический словарь, 1983.
12. ნ. ბერძენიშვილი, დასახლებული ნაშრომი გვ. 257.
13. ვ. წერეთელი, „ზემოიშვრული ლექსიკონი“ ქართულ ენათა ლექსიკა, I, პროფ. ვ. ბერიძის რედაქციით, 1938, გვ. 99—135.

ერთი გეოგრაფიული სახელწოდების ლოკალიზაციისათვის

ვახუშტი ბატონიშვილის თხზულება „აღწერა სამეფოსა საქართველოსა ძვირფასი წყაროა საქართველოს ისტორიის შესასწავლად. ამ საისტორიო ნაწარმოების ღირსება კიდევ უფრო იზრდება იმით, რომ მას მრავალმხრივი ორიგინალური ცნობა მოეპოვება შუა საუკუნეების საქართველოს გეოგრაფიული სახელწოდებების შესახებ, რომელთა შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნის წარსულის მრავალი ფაქტის წარმოსაჩენად.

ვახუშტი, აღწერს რა ოდიშის ტერიტორიას, წერს, რომ „...კუთხედს ამ ენგურის ჩრდილოთ დის **დადის-წყალი**, წოდებული დადის დაბის გამო, გამოსდის მასვე აღმოსავლეთის კავკასსა და მოდის დასავლეთად, და მიერთვის ზღუას... ამ **დადის-წყლის** ჩრდილოთ დის ეგრისის წყალი, წოდებული ეგრისის, თარგამოსის თის გამო. გამოსდის მასვე კავკასს, დის დასავლეთად და მიერთვის ზღვას ილორს... დასუა ეპისკოპოზი ოდიშისა და აწცა ზის, და მწყემსი არს აწ **დადის-წყლისა** და მოქვის წყლის შუათისა ადგილთა.“¹

ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით მდ. დადის-წყალი ენგურის დასავლეთით, ენგურსა და ეგრისის წყალს შორის მდებარეობს.²

ენგურის დასავლეთით ეგულება მდ. დადისწყალი მ. ბროსეს: „...სამეგრელოში არის სოფელი დადი და ციხე დადი, რომელმაც მიცა სახელწოდება პატარა მდინარეს ენგურის დასავლეთით, რომელიც ერთვის ზღვას.“³

პ. ინგოროყვა, ეხება რა დადიანთა წარმომავლობის საკითხს, აღნიშნავს, რომ „ოდიშის ერისთავთა გვარეულობა დადიანი, რომელი გვარიც ორნაირი ფორმით გვხვდება — „დადიანი“ და „დადიან-ბედიანი“ — დაკავშირებულია საერისთაო რეზიდენციების სახელებთან. დადისწყალზე მდებარე რეზიდენციის სახელწოდებას „დადის-ციხე“ უკავშირდება საგვარეულო სახელწოდება დადიანი“⁴.

ივ. ჯავახიშვილის რუკაზე ენგურის დასავლეთით აღნიშნულია მდ. დადის წყალი, რომელიც დღევანდელ პატარა მდინარეებს (ლელეებს) ოკოლორესა და სიდას შეესაბამება.

ტოპონიმები „დადის-წყალი“ და „დაბა დადი“ ენგურის დასავლეთით ამჟამად არ დასტურდება, რის გამოც მკვლევარმა თ. ბერაძემ ვახუშტის ცნობის სისწორეში ეჭვი შეიტანა.⁵

თუმცა ვახუშტი ბატონიშვილი დასავლეთ საქართველოს გეოგრაფიას შედარებით ნაკლებად იცნობდა, მაინც საეჭვოა, რომ მას არ არსებული მდინარის სახელწოდება მოეტანა თავის ნაშრომში, როგორც აღვნიშნეთ, ვახუშტის მიხედვით დადის-წყალი დადიანთა და ენგურს შორის მოედინებოდა. ე. ი. ისტორიული სამურზაყანოს ტერიტორიაზე (დღევანდელი გალის რაიონი). ამ რაიონში ყველაზე მნიშვნელოვანი მდინარეებია ოქუმი და ერისწყალი. ვახუშტისეული დადის-წყალი სწორედ ერთ-ერთი მათგანი უნდა იყოს.⁶

სოფ. ჩხორთოლის (გალის რაიონი) ჩრდილო აღმოსავლეთ მხარეზე, მთის პატარა მდინარის ობარხალაის (მეგრ. ობარხალაია-ხმაურიანი) ხეობაში ერთ-ერთ მთას და ობარხალაის შენაკადს, წყაროს (ნაყადულს) „დადალძის“-ი



ეწოდება. ობარხალაია სოფელ ჩხორთოლთან მარჯვენა მხრიდან მდ. წარჩისწყალს, რომელიც ოქემის წყლის შენაკადია, ეს უბანი ზღვას უერთდება (იხ. რუკა).

ჩხორთოლიდან (ობარხალაიას ხეობით) გადიოდა დიდი სამეურნეო და სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე ბუნებრივად დაცული უძველესი გზა, რომელიც მიჰყვებოდა წყალგამყოფ ქედებს — დადალძიხს, ეებიშხას, აფშარას და ხოჯალს. აქ ერთი გზა მარჯვნივ უხვევდა და მდ. დარჩის ხეობით სვანეთში, ჩუბეხევისაკენ მიუყვებოდა. მეორე გზა ძველი მისიმიანეთის (თანამედროვე აფხაზეთის სვანეთი) გავლით მდ. კოდორის სათავეებისაკენ მიემართებოდა და ნაპარის უღელტეხილით (ქარებით) ჩრდილო კავკასიაში გადადიოდა. ეს გზა თავის დროზე ალბათ დაკავშირებული იქნებოდა „დარჩინის გზასთან“, დიდ სავაჭრო მაგისტრალთან, რომელიც ჩრდილოეთისა და სამხრეთის ქვეყნებს აკავშირებდა. ამ გზით ჩხორთოლელ მწყემსებს დღესაც გადააყავთ საქონელი სვანეთის ალპურ საძოვრებზე.

როგორც ცნობილია, XVII საუკუნის ბოლო მეოთხედში, უკიდურესობამდე დასუსტებულ ოდიშის კუთვნილი კოდორ-ენგურს შორის მოთავსებული მიწა-წყალი აფხაზემა ფეოდალებმა გაითავისეს. იწყება ამ ტერიტორიაზე აფხაზეთის ინტენსიური ჩამოსახლება.

აღნიშნული დროიდან აქ ძველი, ქართული გეოგრაფიული სახელწოდებების ნაწილი დაიწყებას მიეცა, სამაგიეროდ გზა გაიკაფეს ახალმა აფხაზურმა ტოპონიმებმა. ჩვეულებრივი მოვლენა გახდა ქართული გეოგრაფიული სახელწოდებების აფხაზურ ენაზე თარგმნა და ქართულ-აფხაზური სიტყვებისაგან (კომპოზიტებისაგან) წარმომდგარი ტოპონიმების მიღება. მაგ.: „ციხმურბაგა“ — დღე სოფ. საბერიოში (მეგრ. ციხმურ-რცხმელა, აფხ. ძაგა-დელე); უბნის სახელწოდება სოფ. პირველ ვალში — „ლალხუქ“ (მეგრ. ლალ-დელე, აფხ. ხუქ-აატარა); ციხე-სიმაგრე სოფ. ჩხორთოლში „რეკ-აბაა“ (მეგრ. რეკ-ქვიანი, აფხ. აბაა-ციხე) და სხვ. ალბათ ასევე შეიცვალა მდინარე დაღისწყლის სახელწოდება.

დაღისწყალი, ჩვენი აზრით, ის მდინარეა, რომლის ერთ-ერთ სათავეს დღესაც ეწოდება „დადალ-ძიხი“. ამ პიდრონიმის პირველმა ნაწილმა „დალ“ ფუძე შემოგვიჩანა. მეორე ნაწილი „ა-ძიხ“ აფხ. ენაზე წყაროს, ნაკადულს აღნიშნავს, დადალ-ძიხი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მდ. ოქემის მთავარი შენაკადის, წარჩეს ერთ-ერთი სათავეა. წარჩე წყალუხვობით არ ჩამოუვარდება ოქემს მასთან გაერთიანებამდე. გამორიცხული არ არის, რომ წინათ ამ აუზის მთავარ ძდინარედ წარჩე ითვლებოდა, ხოლო ოქემისწყალი მისი შენაკადი იყო.

ზემოთქმულის საფუძველზე გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ ვახუშტი ბატონიშვილის მიერ აღნიშნული „დაღის-წყალი“, რომელიც ფანავის ქედზე იღებს სათავეს (ვახუშტის მიხედვით კავკასიონის ქედზე) და უერთდება ზღვას, ენგურსა და ლალიძგას შორის მდებარე ყველაზე დიდი მდინარე დღევანდელი წარჩე-ოქემისწყალია (მდ. წარჩე და შემდეგ ოქემის წყალი).

რაც შეეხება „დაღის დაბის“ ლოკალიზაციას, ამის შესახებ ძნელია გადაჭრით რაიმეს თქმა წყაროების უქონლობის გამო. ოქემის ხეობა ძალიან მდიდარია ფეოდალური ხანის ძეგლებით. აქ შემორჩენილია არაერთი ეკლესია

სასანური წარმოშობის მასალა სოფ. ზარიძეშიდან

აღმოსავლეთ საქართველოს და სასანურ ირანს ოთხი საუკუნის მანძილზე ქონდათ ისტორიული, სავაჭრო-ეკონომიური და კულტურული ურთიერთობა. საქართველოს ტერიტორიაზე ოდითგანვე გადიოდა სავაჭრო-საქარავერო გზა, რომელიც აღმოსავლეთის ქვეყნებს აერთებდა დასავლეთთან. ქართული სატრანზიტო გზით დაკავშირებული იყო სასანურ ირანთან. ქართლსა და სასანურ ირანს შორის არსებული სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობის ნათელ მაგალითს წარმოადგენს აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ნაპოვნი სასანური წარმოშობის მატერიალური კულტურის მრავალრიცხოვანი ძეგლები (არქეოლოგიური გათხრების შედეგად და შემთხვევით ნაპოვნი ნივთები, ნუმიზმატიკური და გლობტიკური მასალა).

1982 წლის აგვისტოში თიანეთის რ-ნის სოფ. ზარიძეების მახლობლად ნასოფლარ „ცეროდანში“ მდ. ქუსნოს სათავეებთან მარცხენა ნაპირზე, წყლის მიერ ჩამორეცხილ ქვაყუთში აღმოჩნდა სასანური გემა, ორი მონეტა და სარდონის მთევები, რომლებიც ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში შეისყიდა. ნივთები მუზეუმს ჩააბარა თემურ ლევანის ძე ცალულელაშვილმა. მისი გადმოცემით, ნივთები უპოვია ს. ზარიძეების (ზემო თიანეთი) მცხოვრებ ტრისტან შალვას ძე სუარაშვილს აკლდამაში, სადაც იყო აღამიანის ძელები.

ორივე მონეტა მოჭრილია სასანელი შაჰანშაჰის კავადის მიერ. სასანური სახელმწიფოს ისტორიაში ეს მონარქი ცნობილი იყო, როგორც ნიჭიერი და ჰკეიანი პოლიტიკოსი. სასანელი შაჰანშაჰის ფეროზის მეფობის დროს (459—484 წწ) ირანის ქარი აწარმოებდა ომს ეფტალიტებთან. წაავო რა ერთ-ერთი ბრძოლა (484 წელს), ფეროზი იძულებული იყო დაეტოვებინა მძევლად ეფტალიტებთან თავისი ვაჟი — კავადი. ფეროზი მალე დააბრმავეს და ირანის ტახტი დაიკავა კავადმა. 497 წ. სამეფო საბჭომ კავადი ჩამოაგდო ტახტიდან, დააპატიმრა და ირანის შაჰად აირჩიეს მისი ძმა — ზამასპი (497—499 წწ). გაიქცა რა ციხიდან, კავადმა თავშესაფარი და დახმარება სთხოვა ეფტალიტების მეფეს, რომლის ქალიშვილიც მას ცოლად ჰყავდა. 499 წ. ეფტალიტების ქარის მხარდაჭერით და დახმარებით, კავადმა კვლავ დაიბრუნა ირანის სამეფო ტახტი.

კავადის ორმოცწლიან მეფობა ღირსშესანიშნავი იყო პოლიტიკური და ისტორიული მოვლენებით. იყო რა ნიჭიერი პოლიტიკოსი, ის კარგად ერკვეოდა სამხედრო საქმეებშიც. სწორედ მან მოახერხა საბოლოოდ ეფტალიტების განადგურება. მთელი თავისი ზეობის მანძილზე კავადი ისწრაფოდა სასანური სახელმწიფოს გაძლიერებისათვის. გამოჩენილი არაბი მეცნიერი და ისტორიკოსი თაბარი კავადს მიაწერს უველაზე დიდი როლდენობის ქალაქების დაარსებას ირანში და მის საზღვრებს გარეთაც. ამიერკავკასიაში მას მიაწერენ ქალაქების: ვანჯის, კაბალის, ბარდის აშენებას. კავადის მეფობის ბოლო წლებში ირანის სამეფოს პრესტიჟი საერთაშორისო სარბიელზე გაიზარდა. მან ირანის



სახელმწიფოს დაუტოვა კარგად გაწვრთნილი ჯარი. კავადი ვარდაიკვალა მწიფო
წლის ასაკში.

სასანური სახელმწიფოს სამხედრო გაძლიერებას კავადის მეფობის დროს, მოჰყვა მისი მონეტების დიდი რაოდენობით გამოშვება. უპირველეს ყოვლისა, ვერცხლის მოჭრა საჭირო იყო მრავალათასიანი ჯარის შესანახად. მეფობის მანძილზე კავადმა სამჯერ შეიცვალა სამეფო გვირგვინის ფორმა. ის უშვებდა რეგულარულ და სპეციალურ (სადღესასწაულო მოზნებისათვის განკუთვნილ) მონეტებს. სასანურ ნუმიზმატიკაში პირველად მის მონეტებზე გაჩნდა ასტრალური სიმბოლოები ნახევარმთვარისა და ვარსკვლავის სახით, რომლებიც შემდეგ სასანური ნუმიზმატიკის აუცილებელ კომპონენტად იქცა.

კავადის მონეტები, რომლებიც უმეტეს შემთხვევაში, მაღალხარისხოვან დრაქმებს წარმოადგენენ, დიდი რაოდენობით არის აღმოჩენილი აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, გვხვდება როგორც განაბებში, ისე ცალკეულ აღმოჩენათა სახით. კავადის მონეტების უხვი რაოდენობით აღმოჩენა ქართლის სხვადასხვა კუთხეში ქართლსა და სასანურ ირანს შორის სავაჭრო ურთიერთობის გაძლიერებით და კავადის ხანგრძლივი მეფობით უნდა აიხსნას. კავადის მონეტები ხშირად გვხვდება მცხეთის, დუშეთის, ქარელის, წითელწყაროს ტერიტორიაზე. თიანეთის რაიონში სასანური დრაქმები ადრეც ჩნდებოდა. 1923 წ. რუს გავყანისას თიანეთის რ-ნის სოფ. თოლენჯში აღმოჩნდა სასანური მონეტების განძი. (საქ. საბ. მუზ. გ. ფ. № 656—726. 1936 წ.). თიანეთის რ-ნის სოფ. სიმონიანთბევში ნაპოვნი იყო კავადის დრაქმა (გ. ფ. № 3062), სოფ. დულელუბში — კავადის დრაქმა. (გ. ფ. 9133). ერწოში სოფ. მაგრანეთში არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ აღმოჩნდა ხოსრო I-ის, ჰორმიზდ IV-ის და ხოსრო II დრაქმები. (გ. ფ. №№ 12149—12159, 12212).

მოგვეყვას დრაქმების აღწერა.

გ. ფ. № 22396, წონა — 3, 88 გრ. ზომა — 28 მმ.

შუბლი. კავადის ბიუსტი პროფილში მარჯვნივ თავსამჯაულით, რომელიც შედგება ორკბილა გვირგვინისაგან, ვერტიკალური ლერძისა, ნახევარმთვარისა, სფეროსა და ორი ბაფთისაგან. გვირგვინის წინ — ნახევარმთვარეა, მარცხნივ — ვარსკვლავი. დიადემა წარმოადგენს წვრილი მძივებისაგან შემდგარ ორ რიგს. მეფის თმის ვარცხნილობა — კი ბურთად შეკრულ თმის კონას. ყურზე სამი რგოლისაგან შემდგარი საყურეა. სახე წვერ-ულვაშიანია. კისერზე ერთრიგი მსხვილი მძივებისგან შემდგარი ყელსაბამია. ორივე მხარის ზემოთ „სამეფო ბაფთები“, ზემოთ აწეული ბოლოებით. მხრებს ზემოთ ნახევარმთვარეები. გამოსახულების გარშემო ერთრიგი შერწყმულწრიტლოვანი რკალია. რკალს გარეთ მარცხნივ, მარჯვნივ და ქვემოთ სიმეტრიულად განლაგებული ასტრალური სიმბოლოებია — ნახევარმთვარეები ვარსკვლავებით. ფალური ზედწერილი განლაგებულია გამოსახულების მარჯვნივ, მეფის სახის წინ: kw't

კავადი

ზურგი. მონეტის ცენტრში ცეცხლის საკურთხეველია მოვიზგიზე ცეცხლით. საკურთხეველი შუა ადგილას შევიწროებულია და ქვემოთ განიერი. შევიწროებულ ადგილზე შებმულია ბაფთა ზემოთ აწეული ბოლოებით. საკურთხევის მარცხნივ და მარჯვნივ პირისაბით ცეცხლისაკენ დგას ორი მკველი. ატაშდანის მარცხნივ — ექსკიმიანი ვარსკვლავია, მარჯვნივ — ნახევარმთვარე



კავადის დრაქმები.

Драхмы Кавада.



სასანური გემა.

Сасанидская гемма.



ზემოთ აწეული ქიმიტ. მონეტა გარშემოვლებულია წერტილოვანი რკალით. მონეტის მარცხენა მხარეს აღნიშნულია მისი მოჭრის თარიღი—13, 13 წ-501 წ. მარჯვნივ — მოჭრის ადგილი — AS — ქ. სპაჰანი გ. ფ. № 22397, წონა — 3,80 გრ. ზომა—29 მმ. მონეტა გამსკდარია ორ ნაწილად. იგივე რაც № 22396, ოღონდ მოჭრის თარიღია 14, 14 წ-502 წ., ზარაფხანა Bys ქ. ბიშაპური. კავადის ეს ორი მონეტა მოჭრილია სასანური ირანის ორ სხვადასხვა პროვინციის ზარაფხანებში. ერთი — ბიშაპურში (ფარსის პროვინციაში), მეორე კი სპახანში (ისფახანში), რომელიც მდებარეობდა ირანის ორ დიდ პრო-

ენიციას — ფარსსა და აზერბაიჯანს შორის. ის იყო მსხვილი სავაჭრო და ადმინისტრაციული ცენტრი, რომლის მეშვეობითაც სწარმოებდა კავშირი ირანის სახელმწიფოს ჩრდილოეთ და სამხრეთ ოლქებს შორის.

თაბარი გადმოგვეცემს ლეგენდას იპის შესახებ, თუ როგორ ბჭობდნენ ხალიფა ომარი და სასანური ირანის მოლაღატე ხორმუზანი აღმოსავლეთში ექსპანსიის თანმიმდევრობაზე. ხორმუზანი ურჩევს ხალიფას დაიწყოს ირანის დაპყრობა ისფაჰანიდან, რადგან ისფაჰანი — ეს თავია, ზოლო ფარსი და აზერბაიჯანი კი ფრთები, ამიტომ ჯერ საჭიროა თავის მოკვეთა და მაშინ ფრთებთან გამკლავება უფრო ადვილი იქნება.¹

ნუმიზმატიკურ მასალასთან ერთად, სასანური ეპოქის შესწავლისას მნიშვნელოვან ისტორიულ წყაროს წარმოადგენდნენ სასანური წარმოშობის გლიპტიკური ძეგლები — გემები, რომლებიც ისევე მრავალრიცხოვანია როგორც მონეტები.

სასანური გლიპტიკის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული თემა იყო მამაკაცის პორტრეტი. საბეჭდავების მფლობელთა შორის გვხვდება სკედასხვა თანამდებობის პირები (მოგვები, მოსამართლეები, გადამწერები, გადასახადების ამკრები და სხვ.). მათი გამოსახულებანი სასანური გლიპტიკის მუდმივ რეპერტუარს წარმოადგენენ.

სწორედ მამაკაცის პორტრეტია წარმოდგენილი ზარიძეებში ნაპოვნ საბეჭდავ ინტალიოზე. (გემა ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გლიპტიკის ფონდში სიანე, № 1307). საბეჭდავი ნარინჯისფერი სარდონისაა, ელიფსოიბრი ფორმის, აქვს ნახერტი ზონრის გასაყრელად. პირი წაკვეთილ მხარეზეა, ბრტყელი და ოვალური. ზედაპირი სადაა, თანაბრად გაპრიალებული. ქვა კარგადაა გათლილი. გამოსახულება არაღრმა ხაზებითაა ამოკვეთილი და ანაბეჭდზე იძლევა დაბალ რელიეფს. ინტალიოს პირის სიგრძეა — 15 მმ, სიგანე — 6 მმ, სიმაღლე — 20 მმ.

საბეჭდავის პირზე გამოსახულია წვერიანი მამაკაცის ბიუსტი შესრულებული ე. წ. „შტრიხული მანერით“. მამაკაცის სახე მობრუნებულია მარჯვნივ, პროფილში მხრებით პირდაპირ. იმ მდგომარეობაში, რომელშიც დაწყებული პირველი სასანელი მონარქისაგან არტაშირ 1-გან (224—241 წწ) ირანის ყველა მომდევნო შაჰან-შაჰთა პორტრეტებია გამოსახული.

გემაზე გამოსახული პორტრეტი მოკლებულია სასანურ ოფიციალურ პორტრეტებისათვის დამახასიათებელ ნიშნებს (თავსაბურავს, ლოკონებად დახვეულ ძაძებს, ძვირფასი თულებით შემკულ სამოსს, ყელსაბამს, საყურეებს და სხვა ინსიგნიებს), მამაკაცის თმა მოკლე, ირიბი სქემატური ხაზებით არის გადმოკმული. ასევე სქემატური ხაზებითაა შესრულებული წაწვეტებული გრძელი წვერი. მამაკაცს სწორი, გრძელი კისერი აქვს. ტანსაცმელი წარმოადგენს კაფტანს. მხარზე სამოსი ვერტიკალური ხაზებით არის ასახული. პორტრეტს განზოგადებული ინდივიდუალურ ნიშნებს მოკლებული, იერი აქვს. ბიუსტს მარჯვენა მხრიდან მარცხენამდე გასდევს ირიბი ხაზებისაგან შემდგარი მოჩაჩობება.

თითოეული სასანური გემა შეიცავს მისი მფლობელის პიროვნების ელემენტს: პორტრეტი, სახელი, ტიტული. სასანური გემების უმეტესობა წარმოადგენს პირად საბეჭდავებს, რომლებიც იხმარებოდა, როგორც signature

ისინი ეკვივალენტურნი იყვნენ თანამედროვე ხელისმოწერისა.

ზოგადი ნიშნებით გამოსახულებას ეძებნება ანალოგიები.² სასანური პეტრეაში უთავსაბურაოდ გამოსახული პიროვნებები წარმოადგენდნენ სორო-ასტრიული სარწმუნოების ან ოფიციალურ პირთა პორტრეტებს. მკვასი პორტრეტები გვხვდება საშუალო ფენებისათვის განკუთვნილ საბეჭდავებზე. იერარქიის კიბის სწორედ ამ საფეხურის წარმომადგენლად გვევლინება გემაზე გამოსახული მამაკაცი.

სასანური გემების დათარიღება დღემდე რთულ პრობლემად ითვლება. გლიბტიკის ძეგლებზე, მონეტებისაგან განსხვავებით, არასოდეს არ გვხვდება თარიღები. ინტალიო გამოსახულების სტილისა, დეტალების და ანალოგიების მიხედვით გვიანსასანურ ხანას მიეკუთვნება.³

სამარხი, მასში ნაპოვნი ორი მონეტისა, რომლებიც მოპრილია VI ს-ის დასაწყისში და გემის მიხედვით VI-VII სს უნდა დათარიღდეს.

სოფ. ზარიძეებში ნაპოვნი სასანური წარმოშობის მასალა იქ უნდა მოხვედრილყო დიდი სავაჭრო-სატრანსპორტო გზით: თბილისი — მცხეთა — ტინვალი — თიანეთი, რომელიც V ს-ში ერწო-თიანეთში გადიოდა. სწორედ ამ დროიდან გაძლიერდა ქართლსა და სასანურ ირანს შორის სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობანი, რასაც თვალნათლივ ადასტურებს აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ნაპოვნი სასანური წარმოშობის არქეოლოგიური, ნუმიზმატიკური და გლიბტიკური მასალა.

1. Annales ques scripsit Abu Djafar Mohammed ibn Djarir at-Tabari cum aliis ed. M. J. De Goeje. Prima series. Lugduni Batavorum, გვ. 2642, სტრ. 2—6.


2. В. Г. Луконин, А. Борисов, Сасанидские геммы, Л., 1961, 23, 29, 31, 35, 66. A. D. Bivar, Catalogue of Western Asiatic Seals in the british Museum. Stamp Seals, II. The Sasanian Dynasty, London, 1969, AA 6, AA 7, AA 8, AB 8, AB 9, AB 10, AC 9, AC 13. Ph. Gignoux, R. Gyselen. Cachets Sasanides de la collection Azizbeglu. Studia Iranica, 6, 1977, fasc. 2, plansche 1.7.

3. სასანური წარმოშობის გემები აღმოჩენილი თიანეთის რ-ში (სოფ. მაგრანეთი). ტინვალში — გვხვდება ადრეფეოდალური ხანის სამარხებში. ქ. რამიშვილი სასანური გემები საქართველოში, თბ., 1979, გვ. 109 — № 62, გვ. 136 — № 96, გვ. 138 — № 99; ქ. რამიშვილი, ტინვალის „ნაქალაქარის“ სამაროვანზე მოპოვებული სასანური გემა. ტინვალის ექსპედიცია, მეორე სამეცნიერო სესიის მასალები. თბ., 1981, გვ. 47.

მინის ნაწარმი უფლისციხიდან

უფლისციხის ადრეფეოდალური ხანის მინის ნაწარმში ფუნქციონალური თვალსაზრისით გამოიყოფა ორი ჯგუფი: ჭურჭელი და სამკაულები. უკანასკნელი წარმოდგენილია ერთი ბეჭდით (№ 2446), რომელიც დამზადებულია შავი მინისაგან. ზურგზე მცირე ზომის ოვალური, დაბრტყელებული ფარაკით, აღსანიშნავია, რომ როგორც ფორმით ისე მინის რაგვარობით (შავი ფერი), იგი ყველაზე ახლო მსგავსებას ამჟღავნებს VIII-IX სს დათარიღებულ, ორბეთის მინის საწარმოში მოპოვებულ შავი მინისაგან დამზადებულ ბეჭდებთან (1, გვ. 8-9). უფლისციხური ბეჭედი აღმოჩენილია ე. წ. „ღრმა სახლის“ ადრეფეოდალური ხანის ფენაში აქ მიკვლეული კერამიკული ნაწარმი ახლო დგას ურბნისის ნაქალაქარის ზედა ფენის კერამიკასთან. ბეჭდის ქვედა ქრონოლოგიური ზღვარი შესაძლოა VIII ს განისაზღვროს. ზოგადად კი VIII-IX სს დათარიღდეს, როგორც ნ. უგრელიძე აღნიშნავს, ორბეთის საწარმოში სჭარბობს შავი მინისაგან დამზადებული ბეჭდები, რომლებიც საქართველოს გარეთაც ვაჭმონდათ (1, გვ. 9-11). ფორმითა თუ მინის ფერით, უფლისციხური ბეჭდის ზედმიწევნითი მსგავსება ორბეთის მინის ბეჭდებთან გვაფიქრებინებს, რომ შესაძლოა იგი ორბეთის მინის საწარმოს პროდუქტი იყოს და უფლისციხეში სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობის შედეგადაა მოხვედრილი.

მინის ჭურჭელი საკმაოდ მრავალადაა მოპოვებული შიდა ქალაქის ცენტრალური უბნის ადრეფეოდალური ხანის ფენაში. უმრავლესობას წარმოადგენს მომწვანო ფერის ძირშედრეკილი ბოთლები (№ 1751), რომელთა ფორმების აღდგენა არ ხერხდება. რაც შეეხება დანარჩენ ჭურჭელს, მათგან აღსანიშნავია ძირშედრეკილი ჭურჭლის ფრაგმენტი (№ 1741). ზედაპირი დაფარულია მრგვალი და ოვალური ფაცეტებით. მინა მომწვანოა, სქელკედლიანი, ბუშტულეიანი, ამგვარი ჭურჭელი აღმოჩენილია ურბნისში, რუსთავში, თბილისში, მცხეთაში, ბოლნისში, სომხეთისა თუ აზერბაიჯანის ტერიტორიაზე. აგრეთვე ჩრ. კავკასიაში, ირანში, მესოპოტამიაში, ბიზანტიაში. ისინი ყველგან ძირითადად VI-VIII სს ფარგლებში ექცევიან (2, გვ. 13-16). უფლისციხური ფაცეტებიანი მინის ჭურჭლის თარიღიც ამავე პერიოდით უნდა განისაზღვროს, რასაც თანმხლები კერამიკული მასალაც ადასტურებს. აღნიშნულ ფენაშივეა მიკვლეული ცილინდრულტანიანი, ძირშედრეკილი სასმისი (№ 1742), რომლის ტანი დაფარულია ირიბი, დაბალრელიეფური სარტყელით. მსგავსი ჭურჭელი კარგადაა ცნობილი რუსთავიდან, თბილისიდან, ორბეთის მინის საწარმოდან, ჩრ. კავკასიიდან, აზერბაიჯანისა თუ სომხეთის განათხარი ძეგლებიდან (2, გვ. 26-27). მ. ჩხატარაშვილი ანალოგიურ ჭურჭლებს მის მიერ გამოყოფილ VIII ტიპში ათავსებს და IX-X სს ათარიღებს. იქვე დასძენს, რომ ეს ტიპი ურბნისსა და მცხეთა-სამთავროს VIII ს მასალებში საერთოდ არ გვხვდება (2, იქვე). რაც შეეხება უფლისციხურ სასმისს, ვფიქრობთ, მისი ზედა ქრონოლოგიური ზღვარი IX ს პირველ მეოთხედზე ზევით ვერ გადაიწევეს. ვინაიდან იგი მოპოვებულია ფაცეტებიან ჭურჭელთან ერთად, რომლებიც VIII ს აქეთ თითქოს



მინის ნივთები უფლისციხიდან.

Стеклоиные изделия
из Уплисцихе.

აღარ ჩანან. ამდენად უფრო მართებულად გვეჩვენება სასმისის თარიღი VIII-IX სს პირველი მეოთხედით განისაზღვროს.

XI-XIII სს ნაწარმი ადრეშუასაუკუნეების მინის მასალასთან შედარებით ცოტაა. მათშიც ორი ჯგუფი გამოიყოფა: სამკაულები და ჭურჭელი. უკანასკნელი ყველა ფრაგმენტების სახით გვხვდება, რის გამოც ფორმების აღდგენა შეუძლებელია. მათგან აღსანიშნავია ჭურჭლის ძირის ნატეხი (№ 725). შედრეკილი, თხელკედლიანი, მომწვანო მინისა. იგი ანალოგიური უნდა იყოს რუს-



თავიდან, გუდარეხიდან, დმანისიდან და სხვა ადგილებიდან ცნობილი თოხსასმისების ძირისა, რომელთაც მ. ჩხატარაშვილი III ტომში აერთიანებს და XII-XIII სს ათარილებს (2, გვ. 38), სტრატეგრაფიული მონაცემებისა და პარალელური მასალების მიხედვით აღნიშნული სასმისის ფრაგმენტო XII-XIII სს. უნდა დათარიღდეს.

XI-XIII სს სამკაულები წარმოდგენილია ლურჯი, მწვანე და თაფლისფერი მინის ხუთი სამაჯურის ნატეხებით. მათგან ორი სამკლთხაგანიეკეთიანია, სადა (№ 2375, 2663), დანარჩენები კი მრგვალგანიეკეთიანია, მსხვილად და წმინდად გრეხილი (№№ 153, 413, 2233). მსგავსი მასალა ფართოდაა ცნობილი როგორც საქართველოს, ისე ამიერკავკასიის ფეოდალური ხანის ძეგლებიდან. ამდენად მათზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. ერთი კი უნდა აღინიშნოს, რომ სხვა ძეგლებისაგან განსხვავებით უფლისციხეში მინის სამაჯურები ერთობ მცირე რაოდენობითაა მოპოვებული.

იგივე უნდა ითქვას ლურჯი მინის მძივებზე, რომლებიც სულ ორი ცალია აღმოჩენილი. მათგან ერთი ტანგოფირებულია (№ 459), მეორე ინტუსტირებული (№ 2274). მსგავსი მძივები ცნობილია რუსთავიდან, სიონიდან, აგრეთვე ერწოს, უჯარმისა თუ ჩრ. კავკასიის შუასაუკუნეების განათხარი ძეგლებიდან (3, გვ. 107).

უფლისციხეში საერთოდ არ ჩანს მინის წუნდებული ნიმუშები თუ ნახევარტაბრიკატები. მინის ნაწარმსაც რაიმე სერიულობის კვალი არ ამჩნევია, რაც იმაზე უნდა მეტყველებდეს, რომ შუასაუკუნეებში აქ მინის ადგილობრივი წარმოება არ არსებობდა.

1. ნ. უგრედიძე, მინა ძველ საქართველოში, თბ., 1961.

2 მ. ჩხატარაშვილი, მინის კურკელი, შუა საუკუნეთა საქართველოში, თბ., 1978.

3. რ. რამიშვილი, ივრის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1970.

გვიანბრინჯაო-ადრბრინის ხანის ახალი ქვალი ცენტრალური კოლხეთიდან

(საქარმო-ნამოსახლარის გათხრები ჩხორიწყუხ რაიონის სოფ. ოჩხომურში)

1983 წლის მაისის თვეში ჩხორიწყუხ რაიონის სოფ. ოჩხომურში მდ. ოჩხომურის ქვედა მარჯვენა ტერასების გადაწყურე ზოლში (შალვა ზორავას კარმიდამოს მახლობლად) შემთხვევით აღმოჩნდა გვიანბრინჯაო-ადრბრინის კოლხური ბრინჯაოს ნაკეთობათა განძი. განძი მიწის სამუშაოების დროს იპოვა სოფ. ოჩხომურის მცხოვრებმა დ. შ. ზორავამ.

განძის ძირითადი ნაწილი ამჟამად ჩხორიწყუხ მხარეთმცოდნეობის მუზეუმშია დაცული (კოლექცია № 1-140). ხუთი ნივთი ინახება ჩხორიწყუხ რაიონის სოფ. ოჩხომურის რვაწლიან სკოლაში, ერთი სეგმენტისებრი იარაღი — საქართველოს სახ. მუზეუმში (ოჩხ. 69-84).

განძში სულ 146 ბრინჯაოს ნივთი შედის, მათ შორის რვა ეგზემპლარი პირველი ქვეტივის (კოლხური ცულებისათვის ო. ჯაფარიძის მიერ მოცემული კლასიფიკაციით) თუ I სახეობის (დ. ქორიძის კლასიფიკაციით) ცულია (ტაბ. I, 1-7; II-B, 1), ორი — ბრტყელი ცული (ტაბ. I, 8, 9), 12 — III სახეობის (დ. ქორიძის კლასიფიკაციით) ტრაპეციისებრი ფორმის პატარა ზომის თოხი (ტაბ. I, 10-20; ტაბ. II-B, 3), 69 სეგმენტისებრი იარაღი აქედან 35 „სეგმენტი“ ისეა დაზიანებული, რომ მათი სახეობის დადგენა შეუძლებელია, დანარჩენი 34 „სეგმენტიდან“ 2-ი სახეობის (დ. ქორიძის კლასიფიკაციით) ტრაპეციისებრი „სეგმენტი“ (ტაბ. I, 21, 22), 15—11 სახეობის „სეგმენტი“ (ტაბ. I 23-37 ტაბ. II-B, 2), 17-11 სახეობის „სეგმენტი“ (ტაბ. I, 38-54), 2 ორმანკულიანი ნამგალია (ტაბ. I, 55-56), 3 — მასრაგახსნილი ვიწროპირიანი შებისპირი (ტაბ. I, 57-59) და 50 ბრინჯაოს (სპილენძის?) სხვადასხვა ფორმისა და წონის ზოდი (ტაბ. II-B 4.5).

ამ არქეოლოგიურმა აღმოჩენამ მალე მიიპყრო სპეციალისტთა ყურადღება და განძის აღმოჩენიდან უკვე ერთი წლის შემდეგ (1984 წ.) ოჩხომურში გათხრითი სამუშაოები ჩაატარა ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნოსირი-მუხტურჩის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ექსპედიციის ხელმძღვანელი — ე. გოგაძე, რაზმის უფროსი — ჯ. აფაქიძე).

ბრინჯაოს განძის აღმოჩენის მიდამოებში გამოვლინდა დიდი სამოსახლოს ნაშთები, რომლის ტერიტორია მრავალი ასეული კვადრატული მეტრის ფართობს მოიცავს (იხ. სქემატური გეგმა). სამოსახლოზე ჭერჭერობით არ შეიმჩნევა კულტურული ფენის სტრატოგრაფიული დანაწევრება. საველე სამუშაოების აღნიშნულ სეზონში მოპოვებული (უშთავრესად კერამიკული) მასალის მიხედვით წინასწარული ვარაუდით შეიძლება ამ ფენის მიკეთვნება ქრონოლოგიურად რამდენადმე განსხვავებულ პერიოდებისადმი.

№ 1 და № 3 თხრილებში და № 2 შურაფში გამოვლინდა ნაგებობის ნაშთები. სრულად გაითხარა ნაგებობის ნაშთები № 1 თხრილში. ისინი მოიცავდა

FF 12 კვადრატს, 13 კვ-ის დასავლეთ ნაწილს, 23-ის სამხრ.- აღმ. და 33-ის ჩრდ.-აღმ. კუთხეს.


ნაგებობის ეს ნაშთები წარმოადგენს ბათქაშნარევი და ნახშირნარევი ქვაყრილის გროვას მიწის ზედაპირიდან 0,5-0,7 მ. სიღრმეზე, რომლის (გროვის) ძირი ეყრდნობოდა ყვითელი თიხნარის გრუნტს. ეს ქვები შესაძლებელია ფუნდამენტის ნაშთი იყოს, შენობის სივრცე ნაშთების მიხედვით უნდა ყოფილიყო დაახ. 4,5 მ. სიგანე — 3-მ (ტაბ. II. A) და შენობას შესაძლებელია ჰქონოდა მომრგვალებულ კუთხეებიანი ოთხკუთხა ფორმა. ქვაყრილზე ბათქაშით შეღესილი ხის ნაგებობა უნდა ყოფილიყო დაშენებული. შესაძლებელია, რომ ქვის ფუნდამენტი სინესტრისა და უხვეწყლიანობის გამო იყო საჭირო შენობის ასაგებად.

კულტურულ ფენაში (0,3-0,9მ სიღრმეზე) სხვა მასალებთან ერთად გამოვლენილია მდიდარი კერამიკული მასალაც. ტიპური კოლხური კერამიკა წარმოდგენილია ყელდაღარული (ტაბ. III, 64-84); ტაბ. IV, 28-84), სავარცხლისებურ შტამპიანი და ბადისებურ ორნამენტიანი (ტაბ. III, 22-84), ჭდეულ შტრიხებიანი ტაბ. II, 72-84), კონცენტრულ წრეებიანი და ტალღურხაზებიანი (ტაბ. IV, 64-84, 19-84, 75-84, 10-84), ვიწრო და ფართო კანელურებიანი (ტაბ. IV, 20-84, 64-84), ჭდევიანი რელიეფური სარტყელით შემკული ჭურჭელით (ტაბ. III, 28-84), ჭურჭლის მრგვალნახევრებიანი სქელი თუ მომცრო ყურებით (ტაბ. III. ზედა რიგი), პირთან მიერთებული სქელი ლენტური (ტაბ. III, 14-84), ე. წ. ზოომორფული ანუ რქისებურ შვერილებიანი და ლილვაკისებურ დანაძერწიანი ყურებით (ტაბ. IV, ზედა რიგი და 22-84 მეორე რიგში).

ფართო და ვიწრო შვეულ კანელურიანი კერამიკული ჭურჭელი, რომელსაც ხშირად ზოომორფული ყურები ახლავს, როგორც ცნობილია, ძვ. წ. I ათასწლეულის დამდეგიდან ან II ათასწლეულის დასასრულიდან იწყებს კოლხეთში გამოჩენას. ყველაზე ფართო ღარებიანი თუ სქელყურებიანი ჭურჭელი კი რამდენადმე ადრეცაა ცნობილი, ხოლო ყელზე და მხარზე დატანილი ვიწრო კონცენტრული ღარებიანი კერამიკა, ტალღურ ხაზებიანი და გადმოკეცილ ბაკოიანი (ტაბ. III, 22-84, 75-84 IV, 64-84 — ორი ეგზ.) დამახასიათებელია წინარე ანტიკური და ადრე ანტიკური პერიოდებისათვის (ძვ. წ. VIII-VI სს).

ოჩხომურის ნამოსახლარის კერამიკიდან შემოაღნიშნული, უფრო ადრეული იერის კერამიკული ჯგუფი შეგვიძლია ქრონოლოგიურად განვსაზღვროთ კოლხური კულტურის ცნობილ ძეგლთა კულტურულ ფენებში აღმოჩენილი ანალოგიური კერამიკული მასალების საშუალებით, ასეთებია: ნოსიორის IV პორიზონტი (ბორცვის IV კულტ. ფენა და ტეხურისპირა ქვედა ფენა),¹ დაბლაგომის შუა ფენა, ნოხვაშუს ზედა ფენა, „ასკანა I“, „ასკანა III“, „ასკანა IV“, „ჰოლა I“, „ჰოლა II“, „ცეცხლაური I“ და „ცეცხლაური II“ რკინის სადნობი საბელონსიები.²

ნოსიორის IV პორიზონტი თარიღდება ძვ. წ. X-IX სს. ან XI ს-ის ბოლოდან IX ს-მდე დაბლაგომის შუა ფენა — ადრეული რკინისა და წინარე ანტიკური ხანით, „ასკანა I“ — და „ასკანა IV“ — ძვ. წ. X-IX საუკუნეებით „ასკანა III“, ძვ. წ. I, ათასწლეულის პირველი მესამედით, „ჰოლა I“, „ჰოლა II“, „ცეცხლაური I“ და „ცეცხლაური II“ — ძვ. წ. X-IX სს. საყურადღებოა, რომ




რკინის სადნობი სახელოსნოები (ასკანა, ჰოლა, ცეცხლური) თარიღდება არქეოლოგიური და გეომაგნეტური გამოკვლევითაა მიღებული.

ოჩხომურის მეორე (შედარებით მოგვიანო) კერამიკული ჯგუფის ანალოგები (წინარე და ადრეანტიკური ხანისა) გვხვდება ადგილ „ნაწისქვილარის“ (გეგეკორის რ-ნი, სოფ. მუხურჩია),¹ ფიჭვნარის ზღვისპირა სადგომებზე² და ჰალაღიდის I და II უბნის ნამოსახლარებზე³. სამაროვნებიდან მსგავსი კერამიკა წარმოდგენილია მუხურჩის, პალურის⁴, გორაძირის⁵ ნაწილობრივ ურეცისა და ერგეტის სამაროვნებზე⁶ და სხვ.

„ნაწისქვილარი“ თარიღდება ძვ. წ. VII-VI სს, ფიჭვნარის ზღვისპირა სადგომები (I-IV ფენები) — ძვ. წ. VIII-VII სს-ით მუხურჩის სამაროვანი ზოგადად ძვ. წ. VIII-VI სს-ით თარიღდება, პალური — ძვ. წ. VIII-V სს-ით, ურეცი — ძვ. წ. VIII-VI სს-ით, ერგეტა ძვ. წ. VIII-VI სს-ით.

მეორეს მხრივ აღსანიშნავია, რომ ოჩხომურის ნამოსახლარზე ადრეული ანტიკური ხანისა და მისი უშუალო წინარე პერიოდისათვის დამახასიათებელი ზოგიერთი კერამიკული სახეობა, როგორცაა, მაგ., ყურმილიანი ხელალები, პალაღ ფეხიანი სასმისები, ანდა ბერძნული იმპორტული ჭურჭული, ჭერჭერობით არ ჩანს, რაც შეიძლება იმის მანიშნებელი იყოს, რომ სათანადო პერიოდში სამოსახლოზე ცხოვრება უკვე ნელდება.

რა მიმართებაშია ოჩხომურის ნამოსახლარის № 1 თხრილში დაახლ. თხრილის შუა ნაწილში გამოვლენილ ნაგებობასთან ნაგებობის FF 23 კვადრატის




ტაბ. I.

Табл. I.

SO კუთხეში 0,7-0,9 მ სიღრმეზე აღმოჩენილი განძი კერამიკულ მასალასთან? უნდა ითქვას, რომ განძისა და კერამიკული მასალის თარიღი მაინცდამაინც არ ეწინააღმდეგება ერთმანეთს.

როგორც აღვნიშნეთ, განძი შედგება კოლხური კულტურისათვის დამახასიათებელი ბრინჯაოს სამეურნეო და საბრძოლო იარაღებისაგან. ბევრი მათგანი გარდა პირველი და მეორე ქვეტიპის ცულებისა და მხრებდაშვებულის, ეწვრო-აირიანი, მასრაგახსნილი შუბისპირებისა ძვ. წ. VI საუკუნის დამდევამდე განაგრძობს არსებობას ე. ი. იმ დრომდე, როდესაც ბრინჯაოს იარაღებს რკინის იარაღები საბოლოოდ დევნის.



ტაბ. II.

Табл. II.

